ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პაატა შეშელიძე: „ივანიშვილმა ბიზნესმენებს აგიტატორობა სთხოვა“



გვ.6

27 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




სამშაბათი, 27 სექტემბერი, 2016 №229 (7155) ფასი: 50 თეთრი

# ივანიშვილი: „სააკაშვილი რისი ჩამომსვლელია, ლიფტში შესვლის ეშინია“



გვ.2

„მივესალმები ღარიბაშვილის პრეზიდენტობას“

## სანდრა რულოვსი: „ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრა რომ დასჭირდეს, მიშა ამას გააკეთებს“



გვ.5



## „აუდიტორია 115“-მა უნივერსიტეტს ზეიმი ჩაუშალა



გვ.3

„აუდიტორია 115“: „შარვაშიძემ პოლიტიკური თანამდებობიდან რეფორმისკენ წინ ვერ გადადგა ნაბიჯი და ახლა როგორ გადადგამს?!“

გია შარვაშიძე: „უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ გამოსავალი ერთად უნდა ვეძებოთ“



## რატომ იბრალებს აკაკი ჩხაიძე ბიძინა ივანიშვილთან ნაცნობობას?!



გვ.4

„ნაცმოძრაობა აყოლილია თავისი ლიდერის ავანტიურებს“



გვ.5

## ბიძინა გუჯაბიძე: „სააკაშვილი ბოლოჯერ გაიფაფხურებს“

## ია ანთაძე: „შარვაშიძემ იცის, რომ ახალგაზრდებთან ხისტი მოპყრობა არაფერს მოიტანს“



გვ.3

ISSN 1987-9385

## ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს უპასუხისმგებლო, ცრუ დაპირებების გამცემი დეპუტატი

პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა, რომელსაც არ შესწევს უნარი, რეაგირება მოახდინოს „მიმართვებზე“, უპასუხოდ ტოვებს მათ, მაშინ ის მაინც მოახერხოს, რომ გაგვიზიაროს თავისი მდიდარი სექსუალური ცხოვრება, რაც საქვეყნოდ აქვს გაცხადებული გვ.7

უყურადღებოდ თავის ნებაზე მიშვებული პროკურატურა, გადაიქცა სახეშეცვლილ კრიმინალურ ორგანიზაციად

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ივანიშვილი: „სააკაშვილი რისი ჩამომსვლელია, ლიფტში შესვლის ეშინია“

## „მივესალმები ღარიბაშვილის პრეზიდენტობას“

შორენა მარსაგიშვილი



საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში დაბრუნება რამდენჯერმე დააანონსა. თანაპარტიელების გარდა, მის ჩამოსვლას სხვა პოლიტიკოსებიც ელოდებიან. მომლოდინეთა შორის არ არის ბიძინა ივანიშვილი. „ქართული ოცნების“ მამა ამბობს, რომ ექსპრეზიდენტი დაბრუნებას ვერ გაბედავს.

ივანიშვილი მოსახლეობას სთხოვს, სააკაშვილის პროპაგანდას არ აყვეს. მისი თქმით, უკრაინიდან წამოსული განცხადებები ნაციონალების მომხრეებზეა გათვლილი.

– მოსახლეობას მისი ნათქვამი წარღვნა ნუ დაძაბავს. მგონი, აქცენტს ისევ საკუთარ გუნდზე აკეთებს, რომ არ ჩამოეშალოს და შეამაგროს, ჩამოვალ და საოცრებებს მოვახდენო. სად ჩამომსვლელია, ეგ საცოდავი, ლიფტში ეშინია დახურული სივრცის, არ გაიჭედოსო. კარგად იცის, ეგრევე შეიყვანენ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისი აზრით, ნაციონალებმა კარგად იციან, რომ არაფრის შანსი არ აქვთ.

– არაფრის თავი არ აქვთ ამ საცოდავებს. მაგასაც, გაუბედურებული ზის იქედან. მისმა მეუღლემ თქვა, რომ ჩემი მეუღლე ისეთი კაცი იყო, ხალხს მისი უნდა ეშინოდესო. ახლა ნულარ გეშინიათ, თვალებში ჩავხედეო. მაგათგან ცინიზმი მოდის, მაგრამ ეს ყველაფერი უსუსურობის და იმ გაუსაძლისი მდგომარეობის შედეგია, სადაც არიან, – განაცხადა ყოფილმა პრემიერმა.

სააკაშვილის გარდა, ყოფილ პრემიერს სხვა პოლიტიკოსებიც შემოეკრიტიკა. მათ რიგებში აღმოჩნდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილიც. ივანიშვილმა მას ტიპიური ყვარყვარე უწოდა.

ივანიშვილის განცხადებით, ქვეყნის პირველ ლეიბორისტს ნაციონალები და რუსთავი 2 ქაჩავენ.

– დღესაც ახერხებს რუსთავი 2 და ნაციონალური მოძრაობა შალვა ნათელაშვილის, ასე ვთქვათ, „რასკრუტკას“ და ეს კაცი რუსთავი 2-დან არ ჩამოდის. დღესაც ცდილობს, რომ პარლამენტში შეიყვანონ. ჩემი აზრით, ნათელაშვილი არის ეტალონი მათი ლიდერის, რომელიც ახლა გაქცევაშია. ნათელაშვილი ტიპიური ყვარყვარეა, რომლის „რასკრუტკას“ ცდილობენ, – აღნიშნა ბ-მა ივანიშვილმა.

რუსთავი 2-ზე ნაპრემიერალი მარტო ნათელაშვილის გაპიარების გამო არ არის ნაწყენი. ის სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ აღნიშნული ტელეკომპანია მას ჩამჭრელ კითხვებს აღარ უსვამს.

– რუსთავი 2 ჩემთან შეკითხვებით აღარ მოდის, იმიტომ, რომ მიხვდა, რომ მე ეგენი შევიცანი. ისეთ კითხვებს სვამენ, რომ ინტრიგული სათაურები გამოიტანონ და კარგად ვპასუხობ. ჩამჭრელი კითხვებიც არ აქვთ, რაც მათ ეგონათ. მოწვევა ვთხოვე, ვერ მიმიწვიეს, ვერ გაბედეს, რაღაც მიბლანდესმობლანდეს. არც ერთ ჩემ შეხვედრაზე არ მოდიან, – ამბობს ექსპრემიერი.

წინა კვირაში მან ირაკლი ღარიბაშვილზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა. ამან გააჩინა მოლოდინი, რომ ეს ადამიანი პოლიტიკაში დაბრუნდება. ამას არც ივანიშვილი გამორიცხავს.

კერძოდ, ის მიესალმება, თუ ექსპრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას წარადგენს.

– რატომაც არა, თუმცა შორს არის ჯერ არჩევნები. ამაზე არავისთან მსჯელობა ჯერ არ მქონია, მათ შორის არც ირაკლისთან. ვფიქრობ, რომ ძალიან ნაადრევია. ირაკლის შეუძლია საქართველოს პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უახლოეს მომავალშიც და უფრო შორსაც.

ახალგაზრდა კაცია. მე ვფიქრობ, რომ ძალიან ღირსეულად მოემსახურა თავის ქვეყანას და ღირსეულად წავიდა, გამარჯვებული კაცი წავიდა და არა – დამარცხებული და იძულებით.

დღევანდელი გადმოსახედიდან მე მივესალმებოდი მის კანდიდატურას, თუმცა წინ კიდევ 2 წელიწადია, დიდი დროა და უნდა დაველოდოთ მოვლენებს, შეიძლება მანამდეც მოისურვოს ირაკლიმ პოლიტიკაში გამოჩენა, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, აქვს თუ არა მას კომუნიკაცია ექს-პრემიერთან, ივანიშვილმა განაცხადა, რომ ძალიან ხშირად კონტაქტობს მასთან.

– კი, რა თქმა უნდა. ძალიან ხშირად ვკითხულობთ ჩვენ ერთმანეთს და ძალიან ვეხმიანებით. ჩვენს მეუღლეებსაც აქვთ ურთიერთობა, ბავშვი მონათლა რამდენიმე დღის წინ და იქ გვქონდა საუბარი. ჩემი ბერა არის მისი ერთ-ერთი ბავშვის ნათლია, – განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის მიერ ღარიბაშვილის ხსენებამ რესპუბლიკელები აღაშფოთა. თავდაცვის ყოფილი მინისტრი საბრძოლო მდგომარეობაში განსაკუთრებით იმ ფაქტმა მოიყვანა, რომ ყოფილი პრემიერი ღარიბაშვილის პოლიტიკურ მომავალზე ალაპარაკდა.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი ბიძინა თვლის, მომავალი პრეზიდენტიც მან უნდა დანიშნოს, მაგრამ მანამდე ორი წელია. ნამდვილად არ ვიცი, არ მახსოვს, აქვს თუ არა საპრეზიდენტო ასაკი იმ ადამიანს, ვისზეც ის საუბრობდა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა ტელეკომპანია ტვ პირველის ეთერში.

* * *

ქვემო ქართლში გამართულ შეხვედრაზე ივანიშვილმა თავის საყვარელ ფილმებზეც ისაუბრა.

ამ თემისკენ მას მედიამ უბიძგა, მედიას კი – ლევან ბერძენიშვილმა. ამ უკანასკნელმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ ივანიშვილის საყვარელი ფილმი „კავკასიელი ტყვე ქალია“.

ყოფილი პრემიერი ყოფილი თანამებრძოლის განცხადებას სიცრუეს უწოდებს და ამბობს, რომ ქართული ფილმებიდან „არ დაიდარდო“ უყვარს, ხოლო უცხოურიდან – „ქალის სურნელი“.

– „კავკასიელი ტყვე ქალის“ სადღეგრძელოებში არის ადამიანის სრულყოფაზე ძირითადი ფილოსოფია. მე ძალიან ბევრი დრო მაქვს დახარჯული, 40 წელიწადია ვაკვირდები ამ პროცესს. დაკავებული ვიყავი ფსიქოლოგიით, ფსიქოანალიზით, ფილოსოფიით – მოყვარულის დონზე. მე სპეციალისტი არც ერთი ამ სფეროსი არ ვარ. ჩემი სპეციალობა ეკონომიკა გახლდათ და ბიზნესი. ვფიქრობ, რომ იქაც საკმაო განათლება მქონდა. ეკონომიკაში სადოქტორო დისერტაცია მაქვს დაწერილი, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ყოფილმა პრემიერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა, რომელთა განხორციელებასაც „ქართული ოცნება“ მომავალ 4 წელში აპირებს.

ეს ყველაფერი 600 კმ ავტობანს, 1000კმ-მდე სხვადასხვა კატეგორიის გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებს.

ოპტიმიზმით აღსავსე ივანიშვილი ამ პროექტების მიმართ ეჭვებით არის განწყობილი.

– მეც მაქვს ეჭვი, რომ ამხელა მასშტაბებს როგორ შევძლებთ და გავაღრმავებდი თქვენს შეკითხვას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნაციონალური მოძრაობის დროს აშენდა ეს ავტობანი 64, თუ 68 კმ და 4 წლის განმავლობაში აშენდა 82 კმ, თუ რაღაც, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მას ეჭვი ეპარება, რომ მომდევნო 4 წელიწადშო 550-600 კმ გზა აშენდეს.

– ძალიან ბევრ კითხვებს იწვევს. თუ გინდ მოსამზადებელი პერიოდი, რომ გაამზადო სტაფი, ვინც ამას უხელმძღვანელებს. ფულზე არ მაქვს საუბარი, ჯერ ფული უნდა იშოვონ ამისთვის. ძირითადად ამას მსოფლიო ბანკი და ევროპის ბანკი და ასეთი დიდი ფინანსური ორგანიზაციები აფინანსებენ. მაგრამ კვირიკაშვილის პროფესიონალიზმი რომ ვიცი, ერთადერთია, რაც მაწყნარებს, რომ გათვლის გარეშე ის განცხადებას არ აკეთებს. კარგი ფინანსისტია, კარგი მენეჯერია. მეც კი არ მომითხოვია და არ მინახავს ამაზე გათვლები, – განაცხადა ექსპრემიერმა.

ქვემო ქართლიდან მან აფხაზებსაც მიმართა და მათ საქმიანი წინადადება შესთავაზა. კერძოდ, ივანიშვილი აფხაზურ მხარეს მაღალი კლასის სასტუმროსა და ბოტანიკური ბაღის მშენებლობას სთავაზობს.

– განმუხურში დაიწყო მშენებლობა. იქ თანაინვესტირების ფონდის დაფინანსებით აშენდება უნიკალური სასტუმრო, ყველაზე მაღალი ხაზის. სასტუმროს უკან აშენდება ბოტანიკური ბაღი, რომელსაც ფონდი „ქართუ“ დააფინანსებს. ბოტანიკური ბაღი იყო ჩემი იდეა.

ამასთან დაკავშირებით მინდოდა შეთავაზება გამეკეთებინა ჩვენი აფხაზი ძმებისთვის, რომ გამყოფ ხაზს იქითაც ვთავაზობ საქმიან წინადადებას, რომ ასეთივე კლასის სასტუმროს ავაშენებდი, თუ მათი კეთილი ნება იქნება და ასევე, გავაგრძელებდი ბოტანიკურ ბაღს გამყოფ ხაზს იქით. მოგება მოხმარდებოდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ამით მინდოდა ჩემი წვლილი შემეტანა ჩვენი ურთიერთობის აღდგენაში და გარკვეული საფუძველი ჩაჰყროდა ნდობის აღდგენას, – აღნიშნა ექსპრემიერმა..

მისივე თქმით, ქართული მხარე შეეცადა ეს ცნობა აფხაზური მხარისთვის მიეწვდინათ. ივანიშვილმა იცის, რომ ამბავმა სოხუმამდე ჩააღწია, მაგრამ არ იცის, როგორი რეაქცია ჰქონდათ აფხაზებს.

– როგორც მე ვიცი, ვერ მოხდა შეჯერება ამ საკითხის, მაგრამ წინადადება იმდენად ჰუმანური და მეგობრულია, რომ მე არ ვფიქრობ, რომ ამას პოზიტიურის გარდა სხვა რაიმე შეფასებები მოჰყვეს, – დასძინა ივანიშვილმა.

# ირაკლი კობახიძე: „ნაციონალების ოფისებში დესტაბილიზაცია იგეგმება“



– ნაციონალურ მოძრაობას აქვს დესტაბილიზაციის კონკრეტული გეგმა, თუმცა მისი აღსრულების რესურსი არ გააჩნია.

ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი ირაკლი კობახიძე საუბრობს.

კობახიძემ ნაციონალურ მოძრაობას „უსუსური პოლიტიკური ძალა“ უწოდა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებას მათ მიერ დაგეგმილი პროვოკაციებისა და დესტაბილიზაციის აღკვეთის ყველა შესაძლებლობა გააჩნია.

– „თავისუფალი ზონის“ წევრების განცხადებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რაზეც ჩვენ ამ პერიოდის განმავლობაში ვსაუბრობთ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობის ოფისებში იგეგმება დესტაბილიზაცია, დგება კონკრეტული გეგმა ამასთან დაკავშირებით. ამ გეგმის განსახორციელებლად კონკრეტული დაჯგუფებები იქმნება.

– კარგია, რომ ნაციონალურ მოძრაობაშიც აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც დანაშაულებრივ გეგმას ემიჯნებიან. ჩვენ ამასთან დაკავშირებითაც ვამბობდით, რომ შიგნით, ნაციონალურ მოძრაობაში არის განხეთქილება, არის მოტივაციის ნაკლებობა, ეს ყველაფერი დაკავშირებულია იმ დანაშაულებრივ გეგმებთან, რომელთაც ნაციონალური მოძრაობის ლიდერები, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, ოდესიდან აწყობენ, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კობახიძის ინფორმაციით, ნაციონალურ მოძრაობას საკუთარ აქტივისტებში მოტივაციის შენარჩუნება ძალიან უჭირს და განცხადებები მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, სწორედ მოტივაციის ამაღლების სურვილს უკავშირდება.

ინტერპრესნიუსი

# კარდენახში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს




გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილია და სამძებრო სამუშაოები მიმდინარეობს. შსს-ს ცნობით, ოთარ გოგებაშვილის დაჭრის საქმეში ცივი იარაღი ფიგურირებს.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას ითვალისწინებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ოთარ გოგებაშვილის დაჭრას ახალგაზრდებს შორის ურთიერთშელაპარაკება უძღოდა წინ.

ინტერპრესნიუსი

# ვაზისუბანში აფეთქებას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა




ვაზისუბანში აფეთქებას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში განუცხადეს, შემთხვევა ვაზისუბანში, პირველ მიკრორაიონში მოხდა.

აფეთქება, სავარაუდოდ, ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „აუდიტორია 115“-მა უნივერსიტეტს ზეიმი ჩაუშალა

ნათია ხურცილავა

გუშინ, 26 სექტემბერს, მოვლენების ეპიცენტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. სასწავლო წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე დასასწრებად უნივერსიტეტის ეზოში თითქმის ნახევარი მინისტრთა კაბინეტი შეიკრიბა, მაგრამ მათ საზეიმო განწყობის ნაცვლად საპროტესტო შეძახილები, გამოსვლები, პლაკატები და ბრძოლისთვის შემართული სტუდენტური მუხტი დახვდათ.

გუშინ უნივერსიტეტის ეზოში შეკრებილი სტუდენტების მთავარი მოთხოვნა კვლავ უნივერსიტეტის ავტონომია იყო. „ავტონომია უნივერსიტეტს“ – სკანდირებდნენ სტუდენტები. მათ ახლად არჩეულ რექტორ გია შარვაშიძეს მინისტრის მოადგილის რანგში გაცემული დაპირებები შეახსენეს.

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა უნივერსიტეტში მისულ მინისტრებს, რომლებმაც ახლად არჩეულ რექტორს გია შარვაშიძეს მხარდაჭერა და ერთგვარი ნდობა გამოუცხადეს მათი მისვლით, სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა არ მისცეს და მათ მოთხოვნები ადგილზე წაუყენეს.

სტუდენტები გამოდიოდნენ და თავიანთ მოთხოვნებს აფიქსირებდნენ. რექტორი და მინისტრები კი უნივერსიტეტის კიბეებთან იდგნენ და სტუდენტების გამოსვლებს უსმენდნენ.



## „აუდიტორია 115“: „შარვაშიძემ პოლიტიკური თანამდებობიდან რეფორმისკენ წინ ვერ გადადგა ნაბიჯი და ახლა როგორ გადადგამს?!“

მოგვიანებით სტუდენტებსა და რექტორს შორის შეხვედრა გაიმართა. თუმცა, მანამდე სტუდენტები უნივერსიტეტში შესვლას ითხოვდნენ, სადაც მინისტრები და რექტორი იყვნენ შეკრებილები და უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებზე მსჯელობდნენ.

დაცვის სამსახურმა და საპატრულო პოლიციამ უნივერსიტეტში სტუდენტები არ შეუშვა, რასაც სტუდენტებსა და დაცვის სამსახურს შორის დაპირისპირება მოჰყვა.



ერთ-ერთი სტუდენტის განცხადებით, შენობაში პოლიციის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. აღნიშნულის საპასუხოდ გია შარვაშიძემ განაცხადა, რომ მათ პოლიცია არ გამოუძახებიათ.

– გავცემ პასუხს „აუდიტორია 115“-ის წევრს თორნიკე შევარდნაძეს. არავითარი პოლიცია არ გამოგვიძახებია. გვქონდა ინფორმაცია, რომ ძალა უნდა გამოეყენებინათ, გავარკვევთ ყოველ კონკრეტულ ფაქტს. ვინც არის დამნაშავე, დაისჯება მკაცრად. დავიცავთ კანონს. მოვუწოდებ ყველას, არ არის საჭირო აჟიტირება. დიალოგი თუ გვინდა, დიალოგს გავმართავთ. მე მზად ვარ ნებისმიერ ფორმატში დიალოგისათვის, – განაცხადა შარვაშიძემ.

რექტორთან შეხვედრაზე „აუდიტორია 115“-ის წევრებმა მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მათი აღშფოთება გია შარვაშიძის მიერ გაკეთებულმა იმ განცხადებამ გამოიწვია, რომელიც „აუდიტორია 115“-ის არარეგისტრირებულ ენჯეოდ მოხსენიებას შეეხება და რომლის მიხედვით, ისინი ვილაცის პოლიტიკურ ინტერესებს ატარებენ.

აღნიშნულის საპასუხოდ გია შარვაშიძემ განაცხადა, რომ „აუდიტორია 115“-ის წევრები არიან სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტები, სხვა პირები და ამიტომ მისთვის ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია.

შეხვედრაზე მყოფმა ერთ-ერთმა სტუდენტმა რექტორს ურჩია, უკეთ გაეცნოს, რა არის არასამთავრობო ორგანიზაცია.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

სტუდენტმა ლევან ლორთქიფანიძემ შარვაშიძეს მისი მინისტრის მოადგილეობის პერიოდი შეახსენა, როდესაც პრემიერ-მინისტრთან და განათლების მინისტრთან ერთად „აუდიტორია 115“-ის სტუდენტების შეხვედრები მიმდინარეობდა.

„აუდიტორია 115“-ის წევრის განცხადებით, მაშინ სტუდენტებმა მიიღეს დაპირება, რომ თვითმმართველობაში რეფორმები გატარდებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა.

საბოლოოდ გუშინ სტუდენტებსა და რექტორს შორის გარკვეული შეთანხმება შედგა. შეთანხმება გულისხმობს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის შექმნას, სადაც მონაწილეობას თავად სტუდენტებიც მიიღებენ.

* * *

გუშინდელ პროცესებზე რამდენიმე მოსაზრება გამოითქვა.



**ალექსანდრე ჯეჯელავა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი:**

– ამაზე მეტი ავტონომია რა უნდა იყოს, აქ ვდგავართ და საშუალება აქვთ ისაუბრონ. სწორედ ამას ვაპირებთ, რომ უნივერსიტეტს ჰქონდეს მეტი ავტონომია, საერთაშორისო სტანდარტებზე ორიენტირებული განათლება. გვჯერა, რომ ეს ხალხი არის ის, ვინც ირჩევს რადიკალურ ფორმას, მაგრამ მათი შენიშვნების შინაარსს იზიარებს. თუკი ჩვენთან ერთად იმუშავებენ, ყველაფერს მივაღწევთ. ახლა კი მგონია, რომ ღია კარის მტვრევას ჰგავს ეს ყველაფერი.

**გიორგი ჯავახაძე, უნივერსიტეტის სტუდენტი:**

– ჩვენ უკვე ნანახი გვაქვს, სამინისტრო როგორ უშვებდა უნივერსიტეტში რექტორის პოსტზე თავის კადრებს, ეს ეტაპი უკვე გავლილი გვაქვს. ამით ვერ იხეირა ვერც განათლების სამინისტრომ, ვერც სტუდენტმა და ვერც საუნივერსიტეტო სივრცემ. ახლა დრო არის, ფუნდამენტურ საკითხებს დავუბრუნდეთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბატონი რექტორი განათლების სამინისტროდან გამოგზავნილია და ამით ის საფრთხეს უქმნის უნივერსიტეტის ავტონომიას.



## გია შარვაშიძე: „უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის, მაგრამ გამოსავალი ერთად უნდა ვეძებოთ“

**ლევან ლორთქიფანიძე, უნივერსიტეტის სტუდენტი:**

– ბატონ გია შარვაშიძეს ჰქონდა შესაძლებლობა განათლების მინისტრის მოადგილის რანგში, რომ განათლების სისტემის რეფორმა დაეწყო, მაგრამ მან ეს შესაძლებლობა მაშინ არ გამოიყენა, ახლა გვეუბნება, რექტორის პოზიციიდან გავაკეთებო. როდესაც პოლიტიკურ თანამდებობაზე იყო ადამიანი და მაშინ ვერ დგამდა წინ ნაბიჯებს, ახლა როგორ გადადგამს?! რა გარანტია აქვს, რომ ამას უნივერსიტეტის რექტორის პოზიციიდან გააკეთებს? ეს კითხვა პირადად დავუსვი მას. ჩვენ ვართ გაბრაზებულები და ეს ნუ ეწყინება რექტორს, რადგან იყო პირობა და მან ეს პირობა ვერ შეასრულა.

**გია შარვაშიძე, უნივერსიტეტის რექტორი:**

– ის, რომ უნივერსიტეტში ყველაფერი რიგზე არ არის, არის ფაქტი, მაგრამ ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ გამოსავალი. დღევანდელი შეხვედრა არ იყო ჩვეულებრივი შეხვედრა სტუდენტებთან და დღეს ძალიან ბევრი მტკივნეული საკითხი განიხილეს. ბევრი საკითხია, რომლის გადაწყვეტაც შეიძლება უახლოეს პერიოდში და ამაზე ვიმსჯელებთ, მაგრამ არის საკითხები, რომლებიც მიეკუთვნება კანონმდებლობას, კანონს და ჩვენ მზად ვართ, ცვლილებების ინიცირება მოვახდინოთ.



# ია ანთაძე: „შარვაშიძემ იცის, რომ ახალგაზრდებთან ხისტი მოპყრობა არაფერს მოიტანს“

ნონა ცაბაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიტუაცია კვლავაც დაძაბული რჩება. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ია ანთაძეს ესაუბრა.

***– ახალი რექტორის არჩევას კვლავ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. ბევრი ფიქრობს, რომ სტუდენტების აქცია მართულია, სტუდენტები კი ფიქრობენ, რომ პოლიტიკით იმართება უნივერსიტეტი. რას ფიქრობთ შექმნილ ვითარებაზე?***



– ის, რომ უნივერსიტეტს ახალი რექტორი ჰყავს, ძალიან კარგია. იმიტომ, რომ უნივერსიტეტს რექტორი უნდა ჰყავდეს და არა – მოვალეობის შემსრულებელი. უნივერსიტეტის სათავეში უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც შეუძლია ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს, რაც ამ კუთხით იგეგმება საქართველოში.

***– მის და სტუდენტების ურთიერთობაზე რას იტყოდით?***

– ახალგაზრდებს ყოველთვის აქვთ უფლება, ჰქონდეთ პროტესტი ნებისმიერი პროცესის მიმართ, რომლის მიმართაც მათ არ აქვთ ნდობა. ამიტომ მე მომწონს, რომ ჩვენ ვართ ახლა იმ მდგომარეობაში და იმ ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდებს ნებისმიერ ეტაპზე, თავიანთი საქმიანობის და პოლიტიკური პროცესის და სასწავლო პროცესის, აქვთ საშუალება, რომ იყვნენ კრიტიკულები და გამოხატონ თავისი პროტესტი, რა თქმა უნდა, კანონის ჩარჩოში.

***– ანუ საგანგაშო არაფერია?***

– არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ახლა არის ახალ რექტორზე და მის გუნდზე დამოკიდებული, რომ არ მიუდგნენ ამ ახალგაზრდებს სხვაგვარად. ერთადერთი გზა პრობლემების მოგვარებისა არის მათი მოსმენა, მათთან საერთო ენის გამონახვა.

***– რექტორმა განაცხადა, რომ არარეგისტრირებული ენჯეოა „აუდიტორია 115“-ო. ამან გააღიზიანა სტუდენტები. თითქოს ხისტად დახვდა სტუდენტებს ახალი რექტორი. თქვენ რას ფიქრობთ?***

– ეს სიხისტე არ გავა. არასდროს არ გავა ახალგაზრდებთან სიხისტე. სიხისტე უხდებათ ახალგაზრდებს, ხოლო უფროსებს – არა. უფროსები უნდა აღმოჩნდნენ უფრო მომთმენები და უფრო დიალოგის რეჟიმის მომხრეები, ვიდრე ახალგაზრდები. მე მგონია, ახალი რექტორი სწორედ ის ადამიანია, რომელიც მალე მიხვდება, რომ ახალგაზრდებთან ხისტი მოპყრობა არაფერს მოიტანს.

***– ანუ რექტორმა უნდა დათმოს?***

– ერთადერთი გზა ამ ახალგაზრდებთან ურთიერთობის არის მათთვის მოსმენა და აღიარება იმისი, რაც არის ნამდვილად პროგრესული.

***– ია, როგორ აფასებთ უნივერსიტეტის ახალ რექტორს?***

– მე მას ვაფასებ ძალიან დადებითად. ამ ადამიანს ვიცნობ მრავალი წლის განმავლობაში. მის კარიერას თვალყურს ვადევნებდი. ჩვენი გადაცემის სტუმარიც არაერთხელ ყოფილა სერიოზულ და პროგრესულ თემებზე. სწორედ ამიტომ მგონია, რომ არ გაუჭირდება ამ ახალგაზრდებთან საერთო ენის მოძებნა, იმიტომ, რომ თვითონაც არის მზად იმისთვის, რომ ჩვენი განათლების სისტემა და, მით უმეტეს, საუნივერსიტეტო განათლება, იყოს რადიკალურად და თვისობრივად უკეთესი, ვიდრე არის ახლა.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რატომ იბრალებს აკაკი ჩხაიძე ბიძინა ივანიშვილთან ნაცნობობას?!

საქართველოში ბევრი იბრალებდა და იბრალებს, რომ ბიძინა ივანიშვილს იცნობს, მასთან მეგობრობს, ახლო ურთიერთობა აქვს. ეს იმიტომ, რომ ივანიშვილთან მეგობრობამ მათ ავტორიტეტი აუმაღლოს.

სწორედ ასე იქცევა წინასაარჩევნოდ ჩოხატაურისა და ლანჩხუთის გაერთიანებული ოლქის დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი აკაკი ჩხაიძე.

ის ამომრჩეველთან შეხვედრისას ამბობს, რომ მეგობრობს ბიძინა ივანიშვილთან, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" კანდიდატი სწორედ ის არის და არა – ოფიციალურად დაყენებული ნინო წილოსანი.

ამომრჩეველი დაიბნა, აქეთ წილოსანს „ქართული ოცნების" მთელი აქტივი დაჰყვება, ჩხაიძე მარტო დადის და მაინც ამტკიცებს, რომ „ოცნების" კანდიდატია. ყველაფერს ნათელი თავად ექსპრემიერმა მოჰფინა.

– არ ვიცნობ ბატონ აკაკის. შეიძლება, სადღაც შენახვედრი ვარ, ხელი ჩამომირთმევია. მე ვუჭერ მხარს ყველა მაჟორიტარობის კანდიდატს, რომელიც „ქართული ოცნებიდან" არის წამოყენებული. ეს არის ერთადერთი გუნდი, რომელსაც ხელეწიფება, ქვეყანა სწორი მიმართულებით განავითაროს.

მაჟორიტარობის კანდიდატებს, ისევე როგორც მთელ გუნდს, აყალიბებს კვირიკაშვილი და მთელი გუნდი. მე არ ვარ გუნდის ჩამოყალიბების მონაწილე. პირადად, ყველას არ ვიცნობ. ეს პროცესი უჩემოდ მიმდინარეობს, – განაცხადა ივანიშვილმა.

რა გამოდის? ჩხაიძე უბრალოდ იტყუება, მაგრამ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ერთ-ერთი, ვინც კორუფციასთან, უკანონოდ ნაშოვნ მილიონებთან, სახელმწიფო ფულის მითვისებასთან ასოცირდებოდა, სწორედ რკინიგზის ყოფილი შეფი, აკაკი ჩხაიძე იყო.



ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ნაციონალურმა მოძრაობამ ერთ-ერთი პირველი, ვინც დაიჭირა და „გააკულაკა", სწორედ ჩხაიძე გახლდათ. მაშინ ბატონ აკაკის ხმა არ ამოუღია, ისე გადაიხადა 5 მილიონი ოფიციალურად და, როგორც კულუარებში ამბობენ, 15 მილიონი არაოფიციალურად გაისროლა.

მაშინ, როცა ბატონი კაკო დაჭერილი იყო და 5 მილიონს სთხოვდნენ, როგორც ამბობენ, მისი შვილი კარდაკარ დადიოდა, მამაჩემს ფული არ აქვს, დამეხმარეთო და გურიაში ვიღაცამ 10 ლარი გაიმეტა, ვიღაცამ 20 ან მეტი და ნაკლები. ციხიდან გამოსული ჩხაიძე კი გურიაში, როგორც ამბობენ, 70 ათასიანი მანქანით ავიდა, ხელისუფლებამ ყველა მანქანა წამართვა და ფეხით ხომ არ ვივლიდი, ეს ვიყიდეო. მაშინ მიხვდა ხალხი, რომ ავტომობილში ამდენი ფულის გადამხდელ ჩხაიძეს საკუთარი ჯიბიდან ტყუილად უზიარა პურის ფული, თუმცა...

ჩხაიძე ისე იყო შეშინებულ-დაშინებული, რომ 2012 წელს, როცა მთელი საქართველო ფეხზე იდგა და რეჟიმის დამარცხებას ცდილობდა, რკინიგზის ექსშეფი აზერბაიჯანიდან მშვიდად ადევნებდა თვალს მიმდინარე მოვლენებს.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მთელი 4 წლის განმავლობაში ცდილობდა ბატონი კაკო „ქართული ოცნების" ელიტაში მოხვედრას, მაგრამ ახლოს არ გაიკარეს და გაბრაზდა. 2012 წელს, სხვისი ნაოფლარით მოტანილ სასამართლოში ჩხაიძემაც იჩივლა, ჩემი მილიონები დამიბრუნეთო, მაგრამ, როგორც გავიგეთ, იმის ახსნა გაუჭირდა, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, მაშინ, როცა ხელფასიც კი სანატრელი იყო, კანონიერად როგორ იშოვა 5 მილიონი.

გაბრაზდა ბატონი აკაკი. ისე გაბრაზდა, როგორც ადრე, მაგრამ ადრე „ვლასტი" ჰქონდა, ხელის ერთ აქნევაზე მინისტრებიც კი მის ნებასურვილს ასრულებდნენ, ახლა კი ხელის აქნევას რომ არავინ გამოეხმაურა, პოლიტიკაში დაბრუნება უკანა კარით გადაწყვიტა და ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მაჟორიტარობას გეგმავს.

ის არ გაიკარა არა თუ მმართველმა გუნდმა, არამედ არც ერთმა რეიტინგულმა თუ ურეიტინგო ოპოზიციურმა ძალამ არ ისურვა მასთან თანამშრომლობა. მიზეზი მარტივია – იშვიათია საქართველოში კაცი, რომლის სახელი და გვარი კორუფციასა და უკანონოდ ნაშოვნ ფულთან ასოცირდება და ერთ-ერთი ასეთი სწორედ ჩხაიძეა.

– ჩემს დროს მემანქანის ხელფასი 700 ლარი იყო და მაშინ ლარის კურსიც და მსყიდველუნარიანობაც სხვაგვარი გახლდათ, – ამაყად ამბობს ჩხაიძე და იმას კი აღარ აკონკრეტებს, რომ სწორედ მაშინ, როცა ლარის კურსიც და მსყიდველუნარიანობაც სხვაგვარი გახლდათ, ჩხაიძის რკინიგზა, როგორც ამბობენ, სახელმწიფოს ყოველწლიურად 30 მილიონამდე დოლარს ჰპარავდა (მაშინ დოლარის კურსი და მსყიდველუნარიანობა ლარს აშკარად სჯობდა).

პრინციპში, კი არ ჰპარავდა, ეს ფული უბრალოდ ქრებოდა. ფურცელზე დაწერილი იყო, რომ რკინიგზის მოგება შეადგენდა, მაგალითად, 100 მილიონს და სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი იყო, მაგალითად, 70 მილიონი. დანარჩენი რკინიგზის აღორძინებას ხმარდებოდა და აღორძინებულ რკინიგზაში ვაგონები ჯართად იჭრებოდა, მუშები ცუდი პირობების გამო იფიცებოდნენ და სანაცვლოდ სამსახურიდან გათავისუფლებას იღებდნენ.

ჩხაიძის წარსულში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო თემა ჭითახევჰესი და მისი საქმეა. რკინიგზა ელექტროენერგიას სახელმწიფოსგან კი არ იღებდა, არამედ პირდაპირ ჭითახევჰესიდან ყიდულობდა. როგორც მაშინ ამბობდნენ, ეს ჰესიც ჩხაიძის იყო და ის სახელმწიფო ორგანიზაციით, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, თავის კერძო ბიზნესს ამუშავებდა.

დასასრულ, ის, რაც ბევრმა არ იცის – როცა ჩხაიძის დასახსნელად და ხალხის თვალში ნაცრის შესაყრელად მისი ოჯახი ფულს კარდაკარ აგროვებდა, ბატონი აკაკის და-ძმასთან არავინ მისულა. როგორც ამბობენ, მილიონერი ჩინოვნიკი დედმამიშვილებს რაღაცაზე შემოსწყრა და როცა თავად მილიონებს ითვლიდა, მის დაძმას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პურის ფულის პრობლემა ედგათ და სიღატაკისგან საოჯახო ნივთებს ჰყიდიდნენ.

აკაკი ჩხაიძე პოლიტიკაში დაბრუნებას უკანა კარით და ტყუილით აპირებს.

**ლევან ღვინიაშვილი**

## ჯეჯელავა: „ფიზიკის სახელმძღვანელოში ნიუტონის კანონი ისეა, რომ ნიუტონი არ ეთანხმება"

– ექვსი წელია გვაქვს ფიზიკის სახელმძღვანელო, სადაც ნიუტონის კანონი ისეა, რომ ნიუტონი არ ეთანხმება. მომავალი სასწავლო წლიდან I-IV კლასის მოსწავლეები ახალ სახელმძღვანელოებს მიიღებენ.

ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

განათლების მინისტრი მედიის წარმომადგენლებს ზოგად განათლებაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა გრიფირების საკითხსა და გამომცემლებთან ურთიერთობებზე.

ალექსანდრე ჯეჯელავას ინფორმაციით, მომავალ წელს სახელმწიფო სახელმძღვანელოებს გამომცემლობებისგან შეიძენს. მინისტრი იმედოვნებს, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნაზე კონკურსი დაახლოებით ორ კვირაში გამოცხადდება.




– მომავალ წელს ჩვენ მოგვიწევს ფაქტობრივად ყველა სახელმძღვანელოს თავიდან მომზადება. ზოგიერთ კლასში ახალი შინაარსის მქონე ახალი დაბეჭდილი სახელმძღვანელოები იქნება, ზოგიერთ კლასში კი ძველი შინაარსის მქონე ახალი დაბეჭდილი სახელმძღვანელოები გვექნება.

მომავალ წელს ეს ყველაფერი ჩვენ დაახლოებით 18-19 მილიონი ლარი დაგვიჯდება. ეს არის პირველადი საბიუჯეტო შეფასება, – განმარტა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მინისტრის ინფორმაციით, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირადად მას ოცამდე გამომცემელთან ხუთი შეხვედრა ჰქონდა. ჯეჯელავას შეფასებით, გამომცემლები ბავშვზეც და ხარისხზეც ზრუნავენ.

– გრიფირების ახალ წესში გვინდა იყოს პირველი წელი, როდესაც ავტორი საზოგადოებისგან – მასწავლებლებისგან, მოსწავლეებისგან, სხვა მხარეებისგან შემოსული შეცდომების, შესწორებების, წინადადებების სახელმძღვანელოში შეტანას თავის თავზე აიღებს. აქამდე ასე არ იყო.

ამიტომ, 6 წელია გვაქვს ფიზიკის სახელმძღვანელო, სადაც ნიუტონის კანონი ისეა, რომ ნიუტონი არ ეთანხმება, ანუ, როგორც ნიუტონმა აღმოაჩინა, ისე არ წერია, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მინისტრი ფიქრობს, რომ ახალი სახელმძღვანელოები ძველისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება. ასევე, იგი იმედოვნებს, რომ გრიფირება ყოველ წელს მოხდება.

ალექსანდრე ჯეჯელავამ ელექტრონული სახელმძღვანელოების ალტერნატივის ეტაპობრივ შეთავაზებაზეც ისაუბრა. მინისტრი ფიქრობს, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოების „პირველი მერცხლები" 2017 წელს გამოჩნდება.

**ინტერპრესნიუსი**

## იან კელი: „მსოფლიო ვალშია ქართველების წინაშე"



– მსოფლიო მართლაც ვალშია ქართველების წინაშე, მათი კონტრიბუციისთვის საერთაშორისო მისიებში.

ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა იან კელიმ ვაზიანში ქართველი სამხედროების ავღანეთში გაცილების ცერემონიალზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც ელჩმა აღნიშნა, დიდი პატივია, ესწრებოდეს ამ ძალიან მნიშვნელოვან ღონისძიებას.

– ჩვენ ყველანი ამაყები ვართ იმით, რასაც აკეთებთ თქვენ და საქართველო, რომ მსოფლიოში მშვიდობა განმტკიცდეს. ექსტრემისტები კვლავაც ცდილობენ საფრთხეში ჩააგდონ ჩვენი უფლებანი და თავისუფლებანი.

თქვენი ჯარები კი დგანან მშვიდობის სადარაჯოზე, მოშორებული თავისი ოჯახებიდან. მსოფლიო მართლაც ვალშია ქართველების წინაშე, მათი კონტრიბუციისთვის საერთაშორისო მისიებში. თქვენ ხართ ელჩები მშვიდობის, – ასე მიმართა ელჩმა ქართველ სამხედროებს.

როგორც იან კელიმ აღნიშნა, 2009 წლიდან მოყოლებული აშშ და საქართველოს შეიარაღებული ძალები ავითარებენ მტკიცე ურთიერთობას, რაც ეფუძნება საერთო ფასეულობებს, ინტერესებს და თავდადებას.

– ჩვენი ურთიერთობა, მეგობრობა კიდევ უფრო იზრდება. ჩვენ ერთმანეთს მხარში ვუდგავართ. ავღანეთში ქართველებთან შვიდწლიანი თანამსახურების შემდეგ ამერიკელებმა ყველაზე კარგად ვიცით ქართველი ჯარისკაცების სიმამაცე, თავგანწირვა და სანდოობა ბრძოლის ველზე.

თქვენი სიმამაცე, თავგანწირვა, ღირსება უდიდეს კვალს ტოვებს და დატოვებს თითოეულ ჩვენთაგანზე, რადგან თქვენით სამყარო უფრო უსაფრთხო ხდება მომავალი თაობისთვის. ჩვენ ყოველთვის ვალში ვიქნებით თქვენ წინაშე, ქართველი ხალხის მიმართ გულწრფელი აღფრთოვანებით და იმ სიყვარულით, რასაც განვიცდით თქვენი ულამაზესი სამშობლოს მიმართ, გისურვებთ ღვთის შემწეობას და მშვიდობით დაბრუნებას თქვენს სამშობლოში, ამაყ, მამაც და უმშვენიერეს საქართველოში, – აღნიშნა ელჩმა.

**ინტერპრესნიუსი**

## გიორგი ტუღუში: „ნაციონალურ მოძრაობას პროვოკაციები არც დაუგეგმავს და არც დაგეგმავს"

– ნაციონალურ მოძრაობას პროვოკაციები არც დაუგეგმავს და არც დაგეგმავს, -ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიორგი ტუღუშმა განაცხადა, რომლითაც „თავისუფალი ზონის" ყოფილი წევრის, ბესო კალაძის განცხადებას გამოეხმაურა.

– ეს არის ღია პროვოკაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან. ეს იაფფასიანი გამოხტომები არა მგონია რაიმე შედეგის მომტანი იყოს „ქართული ოცნებისთვის". ეს არის აბსოლუტური სისულელე, რასაც ეს ხალხი ლაპარაკობს. არავითარი პროვოკაცია ჩვენი მხრიდან არც დაგეგმილა და არც იგეგმება, – განაცხადა ტუღუშმა.




„თავისუფალი ზონის" წევრებმა ბესო კალაძემ, მარიამ კოხრეიძემ, ირაკლი ქომეთიანმა, ქრისტი კვარაცხელიამ, გიორგი არჩვაძემ, ლანა აბრამაშვილმა, დევიდ ლაბაძემ, თამუნა კეკელიძემ, გიორგი ჭინჭარაულმა და ნინო ახალმოსულიშვილმა ორგანიზაციის დატოვების შესახებ განაცხადეს, რის მიზეზადაც მათ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობის თაობაზე ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისგან დავალების მიღება დაასახელეს.

– აგვისტოს თვიდან პარტიულ შეკრებებზე გაჟღერდა ინფორმაცია, რომ არჩევნების შემდეგ ნაციონალური მოძრაობა დესტაბილიზაციას აპირებს. მე ოდესაში მითხრა სააკაშვილმა, რომ ინსტრუქციებს შუამავლის მეშვეობით მივიღებდით.

არჩევნების გაყალბების სახელით უნდა დაგვეწყო საპროტესტო აქციები. ხალხი გვეიძულებინა, ქუჩაში გამოსულიყო. მოხდებოდა სახელმწიფო უწყებების ბლოკირება და ამ ყველაფერს შეიძლება მოჰყოლოდა მსხვერპლი. მე სააკაშვილს ამ დიალოგის დროს დავთანხმდი, რადგან უკრაინიდან მშვიდობით მინდოდა წამოსვლა, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ბესო კალაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# სანდრა რულოვსი: „ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრა რომ დასჭირდეს, მიშა ამას გააკეთებს“

შორენა მარსაგიშვილი

აჭარის შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ სამეგრელოში გამართა ხალხმრავალი აქცია. ყოფილი ხელისუფლების მტკიცებით, მათ აქციაზე ხალხის სიმრავლე არჩევნების მოგების წინაპირობაა. „ქართული ოცნების“ მტკიცებით კი, ნაციონალებს ზუგდიდში თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჰყავდათ ხალხი ჩაყვანილი.

ნაციონალებს ხალხი რეგიონებიდან რომ ჰყავდა ჩაყვანილი, ამას „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაიაც ადასტურებს.

– ნაციონალებმა ბევრი მხარდამჭერი ჩამოიყვანეს ზუგდიდში, მაგრამ ადგილზეც ძალიან ბევრი უჭერს მხარს. ასე რომ არ ყოფილიყო, სანდრა რულოვსი ზუგდიდში კანდიდატურას არ დააყენებდა, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში კახა მიქაია.

მისი თქმით, ყოფილ ხელისუფლებას დიდი შანსი აქვს, რომ სამეგრელოს რეგიონი მთლიანად მოიგოს.

– ძალიან არ მინდა იმის აღიარება რომ სამეგრელოს რეგიონში შესაძლოა არჩევნები ნაციონალურმა მოძრაობამ მოიგოს, მაგრამ ეს ასეა და ეს თავიდან ბოლომდე „ქართული ოცნების“ დამსახურებაა, – ამბობს „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

გამარჯვების იმედით აღჭურვილი ნაციონალები ზუგდიდში საკმაოდ ომახიან განცხადებებს აკეთებდნენ. მიხეილ სააკაშვილის მეუღლის სიტყვებზე კი იქაურობა კინაღამ ჩამოიქცა. სანდრა რულოვსი ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი გახლავთ და ის ამომრჩეველს დაჰპირდა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ყოფილი პრეზიდენტი საქართველოში ჩამოვა.



ზუგდიდელებს სანდრა რულოვსი ყოველთვის მეგრულად მიმართავდა. ტრადიციას მან არც ამჯერად უღალატა.

მან ამომრჩეველს აქტიურობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ მათი მხარდამჭერების რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

რულოვსმა მის კონკურენტზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატი დებატებს და მასთან პირისპირ შეხვედრას გაურბის.



– გამგებელი იყო აქ ადრე – ვიღაც თოლორაია, მითხრეს, რომ შენს დანახვაზე გაწითლდებაო, მაგრამ ეს კაცი არც დებატებში, არც ქუჩაში და არც ზუგდიდობაზე არ მოსულა, იმედი მაქვს, რომ მოვა, – აღნიშნა სანდრა რულოვსმა.

ხალხის ოვაციებით აღფრთოვანებული რულოვსი ხუმრობის გუნებაზეც დადგა. მისი თქმით, ის კონკურენტის ბეტეერი ქალების დასახვედრად სათანადოდ მოემზადა.

– მითხრეს, ბეტეერ ქალებს გამოგიგზავნის, რომ თმებით გითრიოონო, თმებიც კი გავისწორე, მაგრამ პროვოკაციებზე აღარავინ მოდის. ხომ ხედავთ, რამდენი ხართ, ვინც დაგვიცავთ ჩვენ და დავიცავთ ჩვენს ხმებს, მთელს საქართველოს და სამეგრელოს. ჩვენ ვერავინ მოგვერევა. უკრაინის რევოლუციის დროს იყო ასეთი ლოზუნგი – ბევრნი ვართ და ვერავინ მოგვერევა, – აღნიშნა სანდრა რულოვსმა.

მან აღიარა, რომ პოლიტიკაში ბევრი არაფერი გაეგება. ამომრჩეველი რომ არ გაეწბილებინა, დაამატა, რომ ამ საქმეში კარგი მასწავლებელი ჰყავს.

– მე ვსწავლობ მისი ნიჭისგან, მან წინასწარ იცის, რა როგორ მოხდება. მან იცის, რომ გამარჯვებას ჩვენთან ერთად იზეიმებს, ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრაც რომ დასჭირდეს, – განაცხადა სააკაშვილის თანამეცხედრემ.

მართალია, ის მხარდამჭერების რაოდენობით კმაყოფილია, მაგრამ უფრო მეტი ადამიანის ხილვა სურს. ამბობს, რომ მათ მალე მიხეილ სააკაშვილიც შეუერთდება.

– ოდესიდან სოლოლაკამდე გვირაბის გათხრა რომ დასჭირდეს, ის გააკეთებს, დამიჯერეთ და ჩვენთან ერთად იქნება, – აღნიშნა რულოვსმა.

ამ განცხადებიდან ძალიან მალე ოზურგეთში, „ოცნების“ ოფისის წინ, ასფალტი ჩავარდა. მეოცნებეები ხუმრობდნენ, რომ სააკაშვილმა ოდესიდან სოლოლაკის ნაცვლად გვირაბი ოზურგეთთან გაიყვანა.

* * *

ზუგდიდში ათასობით ადამიანის მობილიზებით გახარებულმა ნაციონალებმა, გუშინ, 26 სექტემბერს, კიდევ ერთი ამბავი – „ოცნების“ დაშინება აღნიშნეს.



რამდენიმე დღეა, ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას სთხოვდა, დაესახელებინათ ის დღე, როცა საარჩევნო შეკრებას გამართავდნენ. „ოცნება“ 26 სექტემბრამდე დუმდა, მათი საბოლოო პასუხი კი ნაცმოძისთვის მეტად საამო აღმოჩნდა.

– „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნოდ არ გეგმავს არანაირ აქციას და მხარდამჭერების შეკრებას, – ამის შესახებ პრემიერმა და „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა განაცხადეს.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მმართველი პარტია 8 ოქტომბერს შეიკრიბება და გამარჯვებას იზეიმებს.

– ჩვენ ვართ მმართველი ძალა, ხელისუფლებაში ვართ და არ ვიცი, ვის უნდა მოვუწყოთ აქცია. ჩვენ პრაქტიკულად მოგებული გვაქვს არჩევნები და არანაირ აქციას და, მით უმეტეს, დისკომფორტის შექმნას ჩვენი მოქალაქეებისთვის, რომ ქუჩები გადავკეტოთ და მოძრაობა ჩავკეტოთ, არ ვაპირებთ. ერთადერთი აქცია, რომელსაც ჩვენ ვაპირებთ, ეს იქნება გამარჯვების აქცია, 8 ოქტომბერს, საღამოს, როდესაც ჩვენ გავიმარჯვებთ, დიდი აქცია ჩატარდება, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

კვირიკაშვილის ეს განცხადება ნაციონალებმა სათავისოდ გადათარგმნეს. მათი ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ამტკიცებს, რომ ხელისუფლებას ხალხის პროტესტის შეეშინდა.

– საჯარო მოსამსახურეები გაფრთხილებული იყვნენ ყველა სამინისტროში, გამგეობაში, რომ ისინი უნდა გასულიყვნენ აქციაზე, თუმცა მათ შეხვდათ ძალიან დიდი პროტესტი და ამ შიშით „ქართულმა ოცნებამ“ გადაიფიქრა. სასაცილოა კვირიკაშვილის განცხადება, როდესაც ის ამბობს – ხელისუფლებაში ვართ და ვის მოვუწყოთ აქციაო, – აცხადებს ნიკა მელია.

თავად ნაციონალური მოძრაობა მხარდამჭერებთან ერთად, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, აქციის გამართვას 2 ოქტომბერს გეგმავს.

# ბიძინა გუჯაბიძე: „სააკაშვილი ბოლოჯერ გაიფაფხურებს“

## „ნაცმოძრაობა აყოლილია თავისი ლიდერის ავანტიურებს“

მარიამ მჭედლიშვილი

ბოლოდროინდელ მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის წევრ **ბიძინა გუჯაბიძეს.**

***– ბოლო დროს ყოფილმა პრეზიდენტმა, უკრაინის მოქალაქემ, ძებნილმა სააკაშვილმა ბევრჯერ განაცხადა საქართველოში თავისი მოსალოდნელი ჩამოსვლის შესახებ. ის და მისი გუნდი ირწმუნება, რომ ბრძოლა „ქართულ ოცნებასთან“ მოგებული აქვთ. ხალხში ამის გამო შეშფოთება და დაბნეულობაა.***

– ეს სააკაშვილის მორიგი ბაქიაობაა. მის ბაქიბუქს ხელისუფლება სტაბილური და თანმიმდევრული მოქმედებებით პასუხობს. საზოგადოებას მოვუწოდებ, სააკაშვილის განცხადებების გამო ნუ აღელდება. ის არჩევნების შემდეგ საერთოდ აფსაიდში აღმოჩნდება. ოღონდ, ამისათვის ამომრჩევლის აქტიურობაა აუცილებელი.



***– სააკაშვილი აცხადებს, მათ შორის უკრაინის ტელევიზიებშიც, რომ საქართველოში პოლიცია მხარს არ უჭერს ხელისუფლებას.***

– ეს აბსურდია. ასეთი აბსურდული განცხადებებით და მუქარებით სააკაშვილი, საბოლოოდ, კისერს წაიმტვრევს. პოლიცია უზრუნველყოფს წესრიგს ქვეყანაში. მათ შორის, წინასაარჩევნოდ და არჩევნების შემდეგ. სააკაშვილი ახლაც ილუზიებშია. ის ილუზიების ტყვეობაში იმყოფებოდა 2012 წლის შემოდგომაზეც. ის მაშინაც ბევრ რამეს ამბობდა, საკუთარი პარტიის გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მოვლენები სხვანაირად განვითარდა. სააკაშვილი დამარცხდა.

***– მაშინ ამომრჩეველი ნაცმოძრაობის წინააღმდეგ იყო მობილიზებული.***

– ნაცმოძრაობას ახლაც არ გააჩნია მხარდაჭერა. ჩვენი ამომრჩეველი ჭკვიანი და ბრძენია. დარწმუნებული ვარ, ადამიანები 8 ოქტომბერსაც მივლენ საარჩევნო უბნებზე და გამოხატავენ თავიანთ პოზიციას. თუ ამომრჩეველმა არჩევანი აქტიურად გააკეთა, „ქართული ოცნების“ გარდა, პარლამენტში მცირე რაოდენობით მოხვდებიან სხვა ძალებიც.

***– ნაცმოძრაობა საპროტესტო აქციებზე ხელს არ აიღებს. როგორ გგონიათ, დაუდგებიან მას გვერდით სხვა პარტიები?***

– თუ დაუდგებიან, მინიმალური რაოდენობით. აქციას 40 კაცი თუ შეემატება, ამით არაფერი შეიცვლება. აქციების გამართვის, გამოსვლების მცდელობები ნაცმოძრაობას ექნება, მაგრამ ისინი მათთვის ფუჭად ჩაივლის.

***– დიდი ხანია არსებობს ვარაუდი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილი არჩევნების შემდეგ ეცდება საქართველოს გახლეჩას, ანუ აჭარასა და სამეგრელოზე კონტროლის დამყარებას..***

– საქართველოს გახლეჩა გამორიცხულია. აჭარასა და სამეგრელოზე გაკეთებული განცხადებებიც სააკაშვილის კვეხნაა. მისთვის ასეთი ტრაბახი და ტყუილები დამახასიათებელია. ნაცმოძრაობა აყოლილია თავისი ლიდერის ავანტიურებს. ახლანდელი მოქმედებები ყოფილი პრეზიდენტის საბოლოო აქტიურობა იქნება. სააკაშვილი ბოლოჯერ გაიფაფხურებს.

***– მისი პარტია პარლამენტში მოხვდება და საქმიანობას გააგრძელებს.***

– დიახ, ნაცმოძრაობა მომავალ პარლამენტშიც მოხვდება. ჩემი ვარაუდით, ნაციონალები 7 ან 8 დეპუტატს გაიყვანენ. ისინი გადაიქცევიან მარგინალურ ჯგუფად. ამ პარლამენტში რომ დაახლოებით 40 დეპუტატი ჰყავთ, ეს გაყალბების შედეგია. სინამდვილეში, მათ მაშინ გაცილებით ნაკლები ხმა მიიღეს. 2012 წელს ხელისუფლებაში იყო ნაცმოძრაობა, რომელმაც გააყალბა არჩევნები. ახლა „ქართული ოცნებაა“ ხელისუფლებაში და გაყალბება გამორიცხულია. 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება დემოკრატიულ, თავისუფალ და სტაბილურ გარემოში. პარტიებს წინასაარჩევნოდაც თავისუფალი და მშვიდი გარემო აქვთ შექმნილი.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პაატა შეშელიძე: „ივანიშვილმა ბიზნესმენებს აგიტატორობა სთხოვა“

ნონა ცაბაძე

ბიძინა ივანიშვილისა და ბიზნესმენების შეხვედრაზე ბევრს საუბრობენ. ბევრი თვლის, რომ წინასაარჩევნოდ ეს ივანიშვილის მხრიდან თითის დაქნევას უფრო ჰგავდა. მან ბიზნესმენებს „ოცნების“ სასარგებლოდ აგიტაციის გაწევა დაავალა.

აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა ახალი ეკონომიკური სკოლა –საქართველოს ხელმძღვანელი პაატა შეშელიძეც, რომელსაც ამ შეხვედრასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აღმოაჩნდა. პაატა შეშელიძე „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო პაატა, შეხვედრის შემდეგ ბიზნესმენების ნაწილმა დადებითი შეფასებები გააკეთა. სხვები ამბობენ, რომ ეს ყველაფერი თითის დაქნევას უფრო ჰგავდა. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?***

– უმრავლესობას აზრი საერთოდ არ გამოუთქვამს, ამიტომ არასწორია შეფასება, რომ ყველამ მოიწონა. უბრალოდ, არ ჩავთვალე საჭიროდ, რომ საკუთარი აზრი დამეფიქსირებინა.

***– არ იყო შესაფერისი სიტუაცია?***

– ეს აუცილებლად გადაიზრდებოდა დავა-კამათში, რომელსაც აზრი არ ჰქონდა უბრალოდ. თორემ პირზე ხელს არავინ აგაფარებდა. ამაზე არავინ არ წავიდა და ყველა გაჩუმდა. მეც კი ხმა არ ამომიღია. აზრი არ ჰქონდა.

***– რატომ, ივანიშვილთან დაპირისპირება ვერ შეძელით?***

– არა, მე ეს წინაზე მშვენივრად შევძელი. დავამტკიცე და ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ ამ შეხვედრაზე სხვა სიტუაცია იყო. იქ იდგა საკითხი ასე – ივანიშვილმა, როგორც კერძო პირმა, მოიწვია სტუმრები და დაუსვა ბიზნესმენებს კითხვა: „მე ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ მმართველმა პარტიამ, რომელსაც აქვს გარკვეული მიღწევები, გაიმარჯვოს მომდევნო არჩევნებში და გააგრძელოს ის კარგი კურსი, რაც აქვს. ამიტომ გთხოვთ და მოვითხოვ, რომ დააფიქსიროთ თქვენი აზრი და ამიხსნათ, რატომ არ უკეთებთ ამ ყველაფერს პროპაგანდას“?! ეს იყო მისი მიმართვის მოკლე შინაარსი.



***– ანუ პროპაგანდის გაწევა მოითხოვა ბიზნესმენებისგან, რომ თავისუფალია ბიზნესი?***

– როდესაც ადამიანს ეუბნები, რატომ არ ეუბნებით ამას თქვენს თანამშრომლებს, რატომ არ ავრცელებთ ინფორმაციას, ითხოვთ მათგან აგიტატორობას. რამდენიმე მეწარმე, რომელსაც მოუნდა სიტყვით გამოსვლა, დაეთანხმა და მოიწონა ეს. უმრავლესობას ხმა არ ამოუღია.

პაატა შეშელიძე ფიქრობს, რომ აქ სხვა რამეა პრობლემა.

– ივანიშვილი არის მმართველი პარტიის თანადამფუძნებელი, მისი მთავარი დონორი და იდეური მამოძრავებელი ძალა. მისი გავლენა ვრცელდება პარტიაზეც და გადადის მთავრობაზეც, რომელსაც ეს პარტია აკონტროლებს. არჩევნები მოდის, ის ამბობს, რომ მხარს უჭერს გარკვეულ ძალას და ნებისმიერი შეწინააღმდეგება მასთან შეიძლება პარტიულმა სტრუქტურებმა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებმა, მიიღონ ნიშნად იმისა, რომ ესა თუ ის პიროვნება, ორგანიზაცია თუ მეწარმე, არ არის მათ მხარეს და, შესაბამისად, ხსნილია მათ წინააღმდეგ რაღაც ქმედებები.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, საჯარო კრიტიკა, მათი პროდუქციის უარყოფითი შეფასება, მათთვის ტენდერებზე უარის თქმა, საგადასახადო შემოწმების გახშირება და ასე შემდეგ.

***– ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ამას დაავალებს მის ჩინოვნიკებს, წამსვლელია ამაზე?***

– სულ არ არის აუცილებელი, რომ ამის გაკეთება დაავალონ საშუალო და დაბალი რანგის ჩინოვნიკებს, მათ შეიძლება ეს ნიშნად მიიღონ, რომ ეს ჩვენ გვეწინააღმდეგება და რატომაც არ იქნება კარგი, თუ მას ცოტა პრობლემებს შევუქმნით.

***– ანუ ეს უნდა განვიხილოთ იმ ჭრილში, რომ თუ ჩვენ არ დაგვიჭერთ მხარს, პრობლემები შეგექმნებათ? ასეთი იყო ამ შეხვედრის დედააზრი?***

– დიახ, შეიძლება ასე იქნეს განხილული. მე არ ვიტყვი, რომ ვინმე პირდაპირ გასცემს ასეთ დავალებებს, მაგრამ შეიძლება ასე იყოს აღქმული.

***– ანუ ვერ ვიტყვით, რომ ბიზნესი თავისუფალია? წინა წლებთან შედარებით სხვაობა ხომ დიდია?***

– აქ ჩვენ უნდა განვასხვავოთ ერთი რამ. ამ კაცს აზრის გამოთქმის უფლება აქვს, ისე როგორც ნებისმიერ ჩვენგანს. მთავარია, რა მოჰყვება მის აზრებთან შეწინააღმდეგებას. ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ უბრალოდ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ შესაძლოა ამას მოჰყვეს ზოგიერთი ადამიანის არაკეთილსინდისიერი ქცევა განსხვავებული აზრის დევნის მიმართულებით. არის თუ არა თავისუფალი ბიზნესი? ეს კონკრეტული შეხვედრა ამას ვერ შეაფასებს. ჩვენ ეს ყველაფერი დინამიკაში უნდა ავიღოთ.

***– და როგორია ეს დინამიკა?***

– დინამიკა ბევრი კომპონენტისგან შედგება. რადგან ამ კონკრეტულ ღონისძიებას ვაფასებთ, თვითონ კატეგორიულობამ, საჯაროდ აზრის დაფიქსირების მოთხოვნამ, გარკვეულწილად მორალური ზეწოლა მოახდინა. ანუ ეს შეიძლება იქნეს შეფასებული ზეწოლად. იქ შეკრებილებიდან ძალიან ბევრი ლოიალური იყო ამ ხელისუფლების, ბევრი მხარდამჭერიც და ამიტომ შესაძლოა მათ ამის გამო არანაირი პრობლემაც არ ჰქონოდათ. იქ ასი კაცი იყო და საქართველოში ორი ათასზე მეტი მეწარმეა.

***– ანუ კრიტიკული აზრის გამოთქმისგან ყველამ თავი შეიკავა?***

– ერთადერთი პიროვნება, რომელმაც განსხვავებული აზრი თქვა, ზურაბ ჯაფარიძე იყო, რომელმაც თქვა, რომ ეს ფორმატი მისთვის მიუღებელია, რადგან წინასაარჩევნოდ ეს ჰგავს ბიზნესმენების დამუშავებას. დანარჩენებმა ყველამ თავი შეიკავეს.

# განათლების მინისტრს ელექტრონული სახელმძღვანელოების შემოღება სურს

– ვფიქრობ, ელექტრონული სახელმძღვანელო ისეთი კარგი რამეა, „შემოიპარება“ ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

განათლების მინისტრი მედიის წარმომადგენლებს ზოგად განათლებაში განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა. ჯეჯელავამ ელექტრონული სახელმძღვანელოების ალტერნატივის ეტაპობრივ შეთავაზებაზე ისაუბრა.

– ჩვენ გამომცემლები რამდენიმე კომპანიას შევახვედრეთ, რომლებიც სხვა ქვეყნებში ელექტრონულ სახელმძღვანელოებს ავითარებენ.

ვაპირებთ ვუთხრათ, მოდი, როგორც ალტერნატივა იქნებ შესთავაზოთ. მაგალითად, მე ძალიან მომეწონებოდა სისტემა, სადაც თქვენ, როგორც მშობელს, გეუბნებიან-თქვენ გადაწყვიტეთ, აგერ ქაღალდის წიგნები, აგერ ელექტრონული ვერსია. შენ გადაწყვიტე როგორ გამოიყენებს ამას ბავშვი.

შეიძლება აუკრძალო ელექტრონული ვერსია, შეიძლება სკოლაში ტაბლეტი წაიღოს და სახლში ქაღალდით იმეცადინოს, ან პირიქით. ვფიქრობ, ელექტრონული სახელმძღვანელო ისეთი კარგი რამეა, შემოიპარება, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მინისტრი ფიქრობს, რომ პირველ ორ-სამ წელიწადში 500.000 მოსწავლიდან ელექტრონულ სახელმძღვანელოებს 50.000 მოსწავლე აირჩევს, შემდეგ კი, ეს ნელ-ნელა გავრცელდება.

მისივე ინფორმაციით, რამდენიმე გამომცემელი უკვე ამბობს, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოს ვერსიის შესაქმნელად ინვესტიციას გაიღებს.

– ჯერ ისიც არ ვიცით, რა ეღირება. მაგალითად, უკრაინაში თუ გაქვს ქაღალდის წიგნი, ერთ დოლარად ერთი წლით წიგნის ელექტრონული ვერსიაც გექნება.

სახელმძღვანელოს ავტორი როდესაც რაიმეს ცვლის, შენ ამას მობილურზე, ტაბლეტზე, კომპიუტერზე ხედავ. გრიფირების წესში ვდებთ, თუ მოხალისეობრივ საწყისებზე გვეტყვი, რომ აპირებ გქონდეს ელექტრონული ვერსიაც, ჩვენ ამას ქულებში ჩაგითვლით. ვფიქრობ, ეს ბაზარიც უნდა გავხსნათ, – აღნიშნა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

განათლების მინისტრს იმედი აქვს, რომ ელექტრონული სახელმძღვანელოების „პირველი მერცხლები“ 2017 წელს გამოჩნდება.

ინტერპრესნიუსი

საერთაშორისო

# სამანტა პაუერი: „ველურობაა, რასაც რუსები სირიაში აკეთებენ“



გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომა სირიაში შექმნილ მდგომარეობას მიეძღვნა.

აშშ-ს წარმომადგენელმა სამანტა პაუერმა განაცხადა, რომ რუსულმა ავიაციამ ალეპოს მასირებული დაბომბვა განახორციელა. გამოყენებულ იქნა ფოსფორის ბომბები. რუსების დაბომბვის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ სადღეისოდ უკვე 150-ს მიაღწია

– ის, რასაც რუსები და მათი მოკავშირე ასადი სჩადიან, სხვა არაფერია, თუ არა ველურობა, – თქვა პაუერმა.

გაეროს რწმუნებულმა სირიის საკითხებში დი მოსტურამ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ფოსფორის ბომბების გამოყენება სამხედრო დანაშაულია და ამის ჩამდენნი აუცილებლად დაისჯებიან.

სირიის წარმომადგენელი ბაარ ჯაფარი ეცადა, თავი ემართლებინა, მაგრამ ამაოდ. როცა ის ტრიბუნაზე ავიდა, აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის წარმომადგენლები დემონსტრაციულად გარეთ გავიდნენ.

დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა რაიფოლტმა აღნიშნა, რომ რუსეთი მთავარ მადესტაბილიზებელ ფაქტორს წარმოადგენს.

– რუსები ეხმარებიან ასადს, – თქვა მან და დაამატა, რომ სანამ რუსები სირიას არ დატოვებენ, იქ მშვიდობა არ დამყარდება.

რუსეთის წარმომადგენელმა ჩურკინმა განაცხადა, რომ რუსეთი არაფრის დამტკიცებას არ აპირებს. მან ძველი თეზისი გაიმეორა: არავითარი ზომიერი სირიელი პარტიზანები არ არსებობენ, არის შეიარაღებული დაჯგუფება, რომელიც ასადის დამხობას ცდილობს.

– სირიაში ყველაფერი უკვე იმდენად შორს წავიდა, რომ მშვიდობის აღდგენა პრაქტიკულად შეუძლებელია, – განაცხადა ჩურკინმა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ალეპოს ბომბარდირებას ველურობა უწოდა

– ამის გამართლება არ შეიძლება, – განაცხადა მან.

# ჰილარი კლინტონი კვლავ ლიდერობს





გასული კვირის ბოლოს კვლავ გამოქვეყნდა აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატების რეიტინგები.

ჰილარი კლინტონს მხარს 42% პროცენტი უჭერს, დონალდ ტრამპს – 37.

ჰილარი კლინტონსა და ტრამპს შორის განსხვავება კვლავ იზრდება.

ექსპერტები თვლიან, რომ მოვლენების შემდგომ განვითარებაზე დიდ გავლენას იქონიებს ტელედებატები, რომლებიც პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

# ტრამპი იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას აპირებს



აშშ-ს პრეზიდენტობის პრეტენდენტი დონალდ ტრამპი თელ-ავივს ესტუმრა. ისრაელის პრემიერთან საუბარში მან განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებას აპირებს.

– იერუსალიმი ისრაელის ძირძველი დედაქალაქია. პალესტინელებიც ამას უნდა შეურიგდნენ, – თქვა ტრამპმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# პოროშენკო: „პუტინი ძლიერი ლიდერი არ არის“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი ძლერი ლიდერი არ არის. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ არჩევნებისას რუსეთის პრეზიდენტმა ელემენტარულის მიღწევაც კი ვერ შეძლო.

– დუმის არჩევნები ისეთი უხეში დარღვევებით ჩატარდა, რომ ეს უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, – თქვა პოროშენკომ.

ამას გარდა უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინს არ გააჩნია პასუხისმგებლობის გრძნობა და დადებულ შეთანხმებას იოლად არღვევს.

– ძლიერი ლიდერები ასე არ იქცევიან! – ამბობს პოროშენკო.

# ჟირინოვსკი დონბასელებს აკრიტიკებს



სკანდალურად ცნობილი რუსი პოლიტიკოსი ვლადიმერ ჟირინოვსკი თვლის, რომ დონბასელები ლაჩრები არიან. ვლადიმერ ვოლფოვიჩმა ამის თაობაზე რტრის პირდაპირ ეთერში განაცხადა.

– ასადის მომხრეებმა სირიაში იარაღს მოკიდეს ხელი და იბრძვიან. დონბასელთა უმრავლესობა კი უკრაინელთა არტილერიის ბომბარდირებისთანავე გაიქცა. უმრავლესობამ თავი რუსეთს შეაფარა! დონბასელებს რომ ასადის მომხრეებივით ებრძოლათ, კიევი უკვე ჩვენი იქნებოდა. დასავლეთ-აღმოსავლეთ უკრაინას შორის საზღვარიც მდინარე ზბრუჩზე გავიდოდა, – თქვა ჟირინოვსკიმ.

# ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს უპასუხისმგებლო, ცრუ დაპირებების გამცემი დეპუტატი

## პრეზიდენტმა გ. მარგველაშვილმა, რომელსაც არ შესწევს უნარი, რეაგირება მოახდინოს „მიმართვებზე“, უპასუხოდ ტოვებს მათ, მაშინ ის მაინც მოახერხოს, რომ გაგვიზიაროს თავისი მდიდარი სექსუალური ცხოვრება, რაც საქვეყნოდ აქვს გაცხადებული

### უყურადღებოდ თავის ნებაზე მიშვებული პროკურატურა, გადაიქცა სახეშეცვლილ კრიმინალურ ორგანიზაციად

2016 წლის 24 მარტს გაზეთ „ახალ თაობაში“ გამოვაქვეყნე სტატია სათაურით – „სრული უპასუხისმგებლო და კრიმინალური ვითარება, პარლამენტში, პარლამენტის თავმჯდომარის გარემოცვაში და მთავარ პროკურატურაში, საჩივრებს და მიმართვებს ბლოკავენ“.

სტატიაში მხილებული არიან პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი რაზმაძე და ადამიანის უფლებათა დაცვის და მოქ. ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გედევან ფოფხაძე, რომლებმაც თანამდებობა ბოროტად გამოიყენეს. პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შეტანილი საჩივარი, ჯერ მიაჩუმათეს ორთვენახევრის განმავლობაში, ხოლო შემდეგ გარემოების ფალსიფიკაციის გზით მოაშორეს პარლამენტს, რა დროსაც დაარღვიეს სისხ. სამართლის საპროცესო კოდექსის 97 მ. 1ვ.

ჩემი მოთხოვნა იყო საჩივარში ასახული, პროკურატურის მხრიდან განხორციელებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებები, რომლებიც არღვევს ჩემს უფლებებს, შეესწავლა და კომიტეტის სხდომაზე განეხილა ადამ. უფლებათა დაცვის და მოქ. ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის რომელიმე მოადგილეს დებულების მე-2 მუხ. „ე“ და „კ“ პუნქტების შესაბამისად. ვინაიდან უნდობლობას ვუცხადებ კომიტეტის თავმჯდომარეს ე. ბესელიას, რომელსაც ორი წლის წინ შეტანილ ანალოგიური შინაარსის განცხადებაზე, არანაირი რეაგირება არ მოუხდენია და შესაბამისად დღემდე პასუხი არ მოუცია.

ჩემი უფლებების დარღვევები გამომდინარეობს ორი სისხ. სამ. საქმის მასალებიდან, რომელზედაც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებ.

თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ საჩივრის მიჩუმათება გ. რაზმაძემ და გ. ფოფხაძემ, დ. უსუფაშვილის გვერდით ავლით განახორციელეს, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დამანახა, რომ მათი ქმედებები შეთანხმებული იყო დ. უსუფაშვილთან, რომელიც თავს არიდებდა ჩემთან შეხვედრას და საჩივარზე პასუხის გაცემას. ამით წაქეზებული გ. რაზმაძე და გ. ფოფხაძე დაუკავშირდნენ ქ. თბილისის პროკურორ მიხეილ შავყულაშვილს, ბოროტად გამოიყენეს თავიანთი თანამდებობრივი მდგომარეობა, მოახდინეს გარემოების ფალსიფიკაცია პარლამენტში. რამაც ასახვა ჰპოვა გ. ფოფხაძის მიერ გაგზავნილ წერილში ქ. თბილისის პროკურორთან, რომელშიც ჩემი საჩივარი შეცვლილი იყო განცხადებით, ამასთან ერთად შეცვალეს არა მარტო სასაჩივრო მოთხოვნები, არამედ საჩივარში მოთხოვნილი პასუხის გამცემი დეპუტატი იმ პროკურორებით, რომელთა ქმედებებიც საჩივრდებოდა.

იმის მაგივრად, რომ ქ. თბილისის პროკურორს უკან დაებრუნებინა საჩივარი პარლამენტში, ვინაიდან მისი განხილვა აღემატებოდა მის უფლებამოსილებას და ამით შეეჩერებინა ს.ს.ს.კ. 97 მ. 1ვ. დარღვევის პროცესი, იმოქმედა პირიქით, ხელი შეუწყო კანონის რღვევის პროცესს, როცა საჩივარი გადააგზავნა ქვემდგომ ინსტანციებში, რომ მასზე რეაგირება არ მომხდარიყო.

შეზღუდეს ჩემი, როგორც ამომრჩევლის უფლებები, მიმეღო პასუხი საჩივარზე ჩემი რ-ნის დეპუტატისგან – დ. უსუფაშვილისაგან. ზიანი მიაყენეს ჩემს კანონიერ ინტერესებს. ჩაიდინეს დანაშაული განსაზღვრული ს.ს.კ. 332-333მ.

გამომდინარე ს.ს.ს.კ. 101 მუხლიდან სტატიაში მოყვანილი ფაქტები დადასტურებული დოკუმენტალური მტკიცებულებებით საკმარისზე მეტია გამოძიების დასაწყებად.

გამოძიების დაწყების თაობაზე რამდენჯერმე პირადად მივმართე მთ. პროკურორს და შევახსენე, რომ გამოძიების დაწყების გაჭიანურებით ირღვეოდა კანონი.

როგორც ჩანს, პროკურატურაში გამოძიების დაწყებას ურჩევნიათ კანონის დარღვევა, რომელმაც სისტემური დანაშაულის სახე მიიღო.

სტატიის გამოქვეყნების შემდეგ ვიფიქრე, მისი ადრესატები ახლა მაინც იმოქმედებენ ადეკვატურად, მაგრამ მოვტყუვდი, მოხდა პირიქით. ჩადენილი დანაშაულის მიჩუმათების მიზნით გადაწყვიტეს საფუძველი გამოეცალათ ჩემი საჩივრისათვის სისხ. სამართ. №00608405 საქმის შეწყვეტით.

საქმის შეწყვეტა მოხდა უკანონოდ, დაუსაბუთებლად შემსრულებლისთვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემით.

რაც მოგვიანებით დაადასტურა დ. უსუფაშვილმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში, როდესაც მას ჰკითხეს პროკურატურაზე, მისი პათოსი ასეთი იყო – პროკურატურა აღძრავს და დახურავს საქმეებს, ხოლო საქმის დახურვის კანონიერება მას აღარ აინტერესებს. თუ ეს არ აინტერესებს დეპუტატს, მით უმეტეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, მაშინ რა უნდა მას პარლამენტში.

ეგრეთ წოდებულმა დეპუტატმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მას ვალდებულება აქვს აღებული ამომრჩევლის წინაშე და იგი პირნათლად უნდა შეასრულოს, აღარ უნდა ეცადოს ძველი შეუსრულებელი ვალდებულებებით დატვირთულმა ახალი ცრუ დაპირებებით და არაფრისმთქმელი მაღალფარდოვანი გამონათქვამებით კიდევ ერთხელ შეაღწიოს პარლამენტში, რომ შემდეგ კვლავინდებურად დაემალოს ამომრჩეველს. უნდა განთავისუფლდეთ ასეთი დეპუტატისაგან.

თავისი ქმედებებით კანონდამრღვევი პროკურორების ხელშემწყობები არიან აგრეთვე პარლამენტის ადამ. უფლებათა დაცვის და მოქ. ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ე. ბესელია და მისი პირველი მოადგილე გედევან ფოფხაძე, რომლებიც, როგორც ჩანს, გარიგებაში არიან პროკურატურასთან.

თუკი გაუჭირდება პარლამენტის თავმჯდომარეს, მის გარემოცვას, ად. უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, მის პირველ მოადგილეს, გადაეფარება პროკურატურა, ხოლო თუ გაუჭირდება პროკურატურას, მოხდება პირიქით.

ამის დამადასტურებელია ის გარემოებაც, რომ ე. ბესელიას კომიტეტს ევალება კონტროლი კანონის შესრულებაზე, კომიტეტის დებულების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტის მიხედვით.

ყველასათვის ცნობილია, რომ ათასობით მოქალაქე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მათი საჩივრები ხვდებიან იმ გამომძიებლის თუ პროკურორის ხელში, ვისი ქმედებებიც საჩივრდება, მათ შორის ვარ მეც.

კანონით ს.ს.ს.კ. 97 მუხლის 1 პუნქტი იმპერატიულად უკრძალავს საჩივრის განხილვას იმ პირს, რომლის ქმედებებიც საჩივრდება.

აქედან გამომდინარე ე. ბესელია ვალდებული იყო ასეთი ფაქტები დაეფიქსირებინა და განეხილა კომიტეტის სხდომაზე და სათანადო რეკომენდაციები გადაეგზავნა პარლამენტში და მთავრობაში, დებულების ამ მუხლის შეუსრულებლობით იგი ხელს უწყობდა მომჩივრების კანონიერი უფლების დარღვევას და სტიმულს აძლევდა კრიმინალ პროკურორებს ახალი კანონდარღვევისაკენ.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ოთხი წლის მანძილზე დ. უსუფაშვილმა და ე. ბესელიამ ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებისათვის არ შეიტანეს პარლამენტში კანონპროექტი გამოძიების ვადების აღდგენის თაობაზე.

გამოძიების ვადების არ არსებობა უპასუხისმგებლო და არაკეთილსინდისიერ გამომძიებლებს და პროკურორებს საშუალებას აძლევს განუსაზღვრელი დროით გააჭიანურონ გამოძიება და ამით დააზარალონ მოქალაქეთა ინტერესები. აქედან გამომდინარე დ. უსუფაშვილი და ე. ბესელია არაჯეროვნად ახორციელებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ პარლამენტის თავმჯდომარის გარემოცვა და საქართველოს პრეზიდენტის აპარატი ადამიანის უფლებების დაცვის შეუძლებლობას აბრალებენ: პარლამენტში თავმჯდომარის თანაშემწე გ. რაზმაძე პარლამენტის რეგლამენტს, ხოლო პრეზიდენტის აპარატში ადამ. უფლებათა დაცვის სამსახურის უფროსი კოჟორიძე – კონსტიტუციას.

ჩემი „მიმართვის“ ერთ-ერთი ადრესატი გ. მარგველაშვილია, რომელსაც ვთხოვე კონტროლზე აეყვანა და მონიტორინგი განეხორციელებინა ჩემი საჩივრის განხილვის მიმდინარეობაზე, იგი ხომ ყველას პრეზიდენტია.

სამწუხაროდ, ეს სიცრუე აღმოჩნდა, ჩემი მიმართვა შესასრულებლად დაეწერა კოჟორიძეს, რომელმაც გამოიჩინა უპასუხისმგებლობა და აპარატის თანამშრომლის ანა ქაჯაიას პირით შემოთვალა, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ აძლევდა მათ ჩარევის უფლებას, როდესაც მოვითხოვე დაეკონკრეტებინა კონსტიტუციის რომელი მუხლით და პუნქტით იზღუდებოდნენ, ამაზე დღემდე პასუხი ვერ მივიღე.

ამით კოჟორიძეს უბრალოდ სურდა თავიდან მოეცილებინა და მიეჩქმალა ჩემი საჩივარი, რასაც მიაღწია კიდეც.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან პრეზიდენტ გ. მარგველაშვილს არ შესწევს უნარი მოახდინოს ჩემს „მიმართვაზე“ რეაგირება და პასუხს ვერ იძლევა, მაშინ ის მაინც მოახერხოს, რომ გაგვიზიაროს საქვეყნოდ გაცხადებული თავისი მდიდარი სექსუალური ცხოვრება, რაც იმედია, კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

დრო მოვიდა შეიტყოთ, თუ ვის და რას მფარველობენ და როგორია პროკურატურის სახე.

დავიწყებ სისხლის სამართლის №006084095 საქმით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის პროკურორმა ლ.ლ.–მ თაღლითური გზით მოახდინა ქონებრივი უფლების მოპოვება. ქ. თბილისში კანდელაკის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ სახლზე, სადაც მემკვიდრეობით ჩვენ საკუთრებაში არის 510 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული სახლის მე-2 სართული. ნახევარი სარდაფით, ხოლო პირველი სართული ნახევარი სარდაფით მფლობელობაში ჰქონდა ლ.ლ.-ს ცოლისძმას გ. გ.-ს.

ლ.ლ.-მ ყველას მალულად თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა ორ ეპიზოდად განახორციელა.

პირველი ეპიზოდი ითვალისწინებდა ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენებით საცხოვრებელი სახლის პირველად რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

ამ მიზნით იგი დანაშაულებრივ კავშირში შევიდა ქ. თბილისის საჯარო რეესტრის მაშინდელ ხელმძღვანელთან კონსტანტინე შენგელიასთან, ქ. თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მაშინდელ უფროს ო. შენგელიასთან, მთ. ინჟინერ ი. სანიკიძესთან, ბრიგადირ მელიქიძესთან და შემსრულებელ დემეტრაშვილთან.

პირველ რიგში მათ გაანადგურეს ჩვენი კანონიერი საკუთრების წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტები. კერძოდ:

1. 1950წ. 20 ოქტომბრის ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 2594 გადაწყვეტილება.

2. მშენებლობასა და არქიტექტურის საქმეთა განყოფილების 1950წ. 2 ნოემბრის ჩვენს სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა.

3. 1950წ. ჩვენს სახელზე გაცემული სააღრიცხვო ბარათი.

4. ჩვენს სახელზე გაცემული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ტექნიკური პასპორტი.

ამ დოკუმენტაციის სანაცვლოდ დაამზადეს ყალბი დოკუმენტი – „მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გეგმა“, რომელიც თითქოსდა გაცემული იყო 2003 წლის 7 მაისს ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ.

აღნიშნული დოკუმენტაციის ნამდვილობა მოგვიანებით უარყო თვითონ საჯარო რეესტრმაც.

გარდა ამისა, ლ.ლ.-ს კიდევ ერთი ყალბი დოკუმენტი – „მინდობილობა“ სჭირდებოდა, რათა უფლება მოეპოვებინა თავისი ცოლისძმის გ.გ.-ს მაგივრად განეხორციელებინა საცხოვრებელი სახლის პირველადი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ამონარიდი: ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2005წ. 25 ოქტომბრის 1/ა-120 საქმეზე გამოტანილი განაჩენიდან: – „ლ.ლ. ტექნიკური საშუალებებით დაამზადა 2003 წლის 30 აპრილით დათარიღებული ნოტარიუს შ. კაკაურიძის ხელმოწერით ყალბი მინდობილობა (რეესტრი 1-240)“.

2003 წლის 20 მაისს ლ.ლ. ზემოაღნიშნულ ყალბ დოკუმენტებს მიუმატა თავისი განცხადება და წარადგინა საჯარო რეესტრში, რომლის საფუძველზე კ. შენგელიამ პირველადი რეგისტრაცია გაუკეთა საცხოვრებელ სახლს, რომლის დროსაც, რეგისტრაციით გაუზარდა ლ.ლ. ცოლისძმას ქონებრივი წილი ჩვენს ხარჯზე და გამოაცხადა იგი მესაკუთრედ, ხოლო ჩვენ კანონიერი მესაკუთრეები გამოგვაცხადა შემცირებული ნაწილის მფლობელებად.

კ. შენგელიამ პირველადი რეგისტრაციის დროს უძრავი ნივთის საკუთრების უფლების საფუძვლად გამოიყენა მათ მიერ შექმნილი ყალბი დოკუმენტი „მიწის ნაკვეთის საინვენტარიზაციო გენერალური გეგმა“ (რეგისტრაცია 1/10/1240/9/ და ყალბი ცნობის ჩანაწერი ოფიციალურ დოკუმენტში – სააღრიცხვო ბარათში, სამოქალაქო კოდექსის 1513 მუხლის არასწორი გამოყენებით, ვინაიდან გ. გ. არ ჰქონდა მიწის ნაკვეთის კანონიერი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამიტომაც კ. შენგელია სააღრიცხვო ბარათში ვერ უთითებს ამ კანონის გამოყენების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი გაგვაჩნია მხოლოდ ჩვენ.

ამ ქმედებით კ. შენგელიამ ჩაიდინა არა მარტო სამსახურეობრივი სიყალბე, არამედ ბოროტად გამოიყენა და გადაამეტა სამსახურეობრივ უფლებამოსილებას და გზა გაუხსნა ლ.ლ. ახალი დანაშაულის ჩადენისთვის, შედეგმაც არ დააყოვნა.

ამონარიდი: ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წ. 25 ოქტომბრის 1/ა-120 საქმეზე გამოტანილი განაჩენიდან: – „ლ.ლ. იყო ცნობილი, რომ მის მიერ დამზადებული 2003 წ. 30 აპრილით დათარიღებული ყალბი მინდობილობა (რეესტრი 1/240) არ იყო საკმარისი ბანკთან იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმებისათვის, ამის გამო გადაწყვიტა მინდობილობის მოპოვება, რომელსაც გაატარებდა სანოტარო რეესტრში, დაამოწმებდა რეალური ნოტარიუსის ბეჭდით და ხელმოწერით.“

ასეთი ყალბი მინდობილობა მას დაუმზადა ნოტარიუსმა ირინა ნანობაშვილმა 2003 წლის 23 მაისს №1-741-ით გაატარა სანოტარო რეესტრში და გადასცა მას.

აღნიშნული განაჩენით ი.ნანობაშვილის დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირებული იქნა საქართველოს ს.ს.კ. 341 მუხლით.

ამ ყალბი მინდობილობით ლ.ლ. იპოთეკით დატვირთა მიტაცებული მიწის ნაკვეთთან ერთად მთელი უძრავი ქონება, რაშიც „გაერთიანებული ქართული ბანკის რუსთაველის ფილიალში“ მიიღო 20 000 აშშ დოლარი.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ქვეყანას არ უნდა ჰყავდეს უპასუხისმგებლო, ცრუ დაპირებების გამცემი დეპუტატი

დასაწყისი მე-7 გვერდზე

2003 წლის 3 ივნისს კი შენგელიამ კიდევ ერთხელ გამოიყენა ბოროტად თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება და ი. ნანობაშვილის ყალბი მინდობილობის საფუძველზე იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება დააკანონა საჯარო რეესტრში.

მოგვიანებით ლ.ლ. ვერ შესძლო აღებული კრედიტის გადახდა, რის გამოც 2004 წლის აგვისტოში მთავარი პროკურატურა იძულებული იყო სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა მის წინააღმდეგ.

იმის გამო, რომ პროკურატურას ჯერ კიდევ დალაგებული არ ჰქონდა ურთიერთობა მ. სააკაშვილთან, რომელსაც იმ დროისათვის ვერავინ გაუბედავდა მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვას, გადაწყვიტეს ნაწილობრივი დახმარება. ამ მიზნით მათ დაავალეს მთ. პროკურატურის განსაკუთრებული საქმეთა გამომძიებელს თემურ ყულოშვილს არ გამოეძიებინა და დაემალა ლ.ლ. მიერ საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში დანაშაულებრივი გზით რეგისტრაციის ეპიზოდი, სადაც ლ.ლ. ერთად ჯგუფურად მოქმედებდნენ საჯარო რეესტრის თანამშრომლები, არ დაეკავშირებინათ რეგისტრაციასთან მათ მიერ დამზადებული და გამოყენებული ყალბი დოკუმენტები და ყალბი ცნობის ჩანაწერის შეტანა ოფიციალურ დოკუმენტებში.

ამ გზით ლ.ლ. ააცილეს უფრო მძიმე დანაშაული თაღლითური მუხლის მე-2 ნაწილით გასამართლება, რაც ნათლად ჩანს სასამართლო 1/ა-120 საქმეში.

მთავარი პროკურატურის გ.ს.გ. თ. ყულოშვილმა შეასრულა ხელმძღვანელობის დანაშაულებრივი დავალება, გადაამეტა თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, გამოიძია მხოლოდ საცხოვრებელი სახლის იპოთეკით დატვირთვის ეპიზოდი, ამით შეუმსუბუქა სასჯელი ლ.ლ.-ს, ხოლო საჯარო რეესტრის თანამშრომლები მთლიანად გაათავისუფლა პასუხისმგებლობისგან, რის გამოც ხელშეუხებელი დატოვა წართმეული მიწის ნაკვეთი.

ამიტომაც ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 25 ოქტომბრის სასამართლოს 1/ა-120 საქმეზე განაჩენი ლ.ლ. მიმართ დადგა მხოლოდ თაღლითობის მუხლის 1-ელ ნაწილზე, არ შეეხო წართმეულ მიწის ნაკვეთს.

მთავარი პროკურატურის მფარველობა ლ.ლ. მარტო ამით არ დასრულებულა, იგი დღემდე გრძელდება, რაც მდგომარეობს შემდეგში:

- მთ. პროკურატურაში როგორც კი გაიგეს, რომ ვასაჩივრებდი ლ.ლ. მიერ საცხოვრებელი სახლის დანაშაულებრივი გზით საჯარო რეესტრში უკანონო პირველად რეგისტრაციას, სასწრაფოდ 2008 წლის ბოლოს, კომისიის გვერდის ავლით, ლ.ლ. გაათავისუფლეს პატიმრობიდან. მართალია საჩივრის საფუძველზე საქმე აღძრეს, მაგრამ გამოსაძიებლად გადასცეს შ.ს.ს. ქ. თბილისის მთ. სამმართველოს ძველი თბილისის რაიონის პოლიციის მე-5 განყოფილებას, რომ ადვილად შეეშალათ ხელი გამოძიებისათვის, რაც განახორციელეს იმით, რომ შვიდი წლის მანძილზე, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე აჭიანურებდნენ საქმის გამოძიებას – 2013 წლის 25 ივლისს ჩემი განცხადება იუსტიციის მინისტრის თ. წულუკიანის და მთ. პროკურორის ა. კბილაშვილის რეზოლუციით განსახილველად დაევალა პროკურატურაში ახლად შექმნილი გენერალური ინსპექციის უფროს პროკურორს ზურაბ ბენდელიანს, რომელსაც განცხადებაზე შესაბამისი რეაგირება და მიღებული ზომების შესახებ პირდაპირ უნდა ეცნობებინა ჩემთვის, რაც ზ. ბენდელიანმა არ განახორციელა და მკაცრ კონტროლზე აყვანილი განცხადება საერთოდ თავისი დანართებით გააქრო.

როდესაც სამართლის პოვნას მთ. პროკურორთან შევეცადე და შვიდჯერ მაინც მივმართე საჩივრით, მივიღე ის, რომ ძველი თბილისის რაიონის პროკურატურის პროკურორმა ზაზა დათუკაშვილმა, რომელსაც წვლილი მიუძღვის ზ. ბენდელიანთან ერთად მკაცრ კონტროლზე აყვანილი მასალების მიჩუმათებაში და რომელიც სამი წლის მანძილზე აჭიანურებდა საქმის გამოძიებას, როგორც კი იგრძნო მხარდაჭერა ზემოაღნიშნული პირების, სასწრაფოდ მიიღო უკანონო დადგენილება საქმის შეწყვეტის თაობაზე ხანდაზმულობის მოტივით, ეს ყალბი აბსურდული მიზეზი 3 წლის წინათაც არსებობდა, მაგრამ მაშინ ვერ გაბედა, რადგანაც მფარველები არ ჰყავდა ხელისუფლებაში.

ზ. დათუკაშვილი თავის 2016 წლის 14 ივნისის უკანონო დადგენილებაში წახალისებული ხელშეუხებლობით და შეიძლება დაწინაურებითაც, თვალთმაქცურად აქცენტებს აკეთებს და ყურადღება გადააქვს იმ ეპიზოდზე, რომელზედაც დამდგარია განაჩენი, მალავს და საერთოდ არაფერს ლაპარაკობს გასაჩივრებულ ეპიზოდზე, სადაც საჯარო რეესტრის თანამშრომლების მხრიდან ჩადენილი დანაშაული კვალიფიცირდება ს.ს.კ. 332, 333 და 341 მუხლებით. ამ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა ს.ს.კ. 71 გ' მუხლის თანახმად 15 წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ წინ არის კიდევ ორი წელი.

აქედან გამომდინარე ზ. დათუკაშვილმა ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება საცხოვრებელი სახლის დანაშაულებრივი გზით რეგისტრაციის ეპიზოდზე აღძრული საქმე დახურა საცხოვრებელი სახლის იპოთეკის დატვირთვის ეპიზოდით, რომელზედაც დამდგარია განაჩენი და არასდროს გასაჩივრებულა. ამ ქმედებით ზ. დათუკაშვილმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული ს.ს.კ. 332 მ.

სადავო დადგენილება 2016 წლის 27 ივნისს გავასაჩივრე მთ. პროკურატურაში ს.ს.ს.კ. 97 მ. 1 პ. შესაბამისად, რომ განხილვა მომხდარიყო მთ. პროკურატურაში, რადგანაც ზ. დათუკაშვილის ზემდგომი ქ. თბილისის პროკურორი გ. შაყულაშვილი მხილებული მყავს სამოხელეო დანაშაულში ამავე საქმესთან დაკავშირებით, ამიტომ საჩივრის განხილვა დაინტერესებული პირის დაქვემდებარებულ ორგანოში არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ პროკურატურაში კანონების დაცვა მიუღებელია, ამიტომ მთავარი პროკურატურის შ.ს.ს. ქ. თბილისის ტერიტორიალურ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა ნათია მერაბიშვილმა დაარღვია ს.ს.ს.კ. 97 მ. 1 პ. და საჩივარი 2016 წლის 4 ივლისს გადაუგზავნა ძველი თბილისის რაიონის პროკურატურას.

ს.ს.ს კოდექსის 97 მ. 1 პ-დან გამომდინარე არაკომპეტენტურმა ძველი თბილისის რაიონის პროკურორის მოადგილემ ზურაბ გურასაშვილმა თავის მხრივ დაარღვია ს.ს.ს.კ. მე-16 და 98 მუხლები, რადგანაც არ მიიღო გადაწყვეტილება საჩივარზე დადგენილების სახით, როგორც ამას კანონი ავალებს, გაიიოლა მდგომარეობა და უკანონო დადგენილების მიღებას ამჯობინა კანონის დარღვევა. გამოგზავნა სიფრიფანა ქაღალდზე დაწერილი ორი წინადადება – ზ. დათუკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია და გამომდინარეობს საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით".

ზ. გურასაშვილმა იცის, რომ ამ ზერელე უპასუხისმგებლო წერილის კანონის დარღვევის და დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებისთვის მას პასუხს არავინ მოსთხოვს.

ამ უკანონო გადაწყვეტილებებით, ფაქტიურად მთ. პროკურატურა ამკვიდრებს ქვეყანაში ყალბი დოკუმენტების, ოფიციალური დოკუმენტების, ყალბი ცნობების, ჩანაწერების დაკანონებას, კანონიერი დოკუმენტაციის გამოდევნების ხარჯზე, ხელს უწყობს კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათელვას.

ამის დადასტურებაა მე-2 სისხ. სამართ. №031090433 საქმეზე შეტანილ საჩივრებზე მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსის ბაკურ აბულაძის და მისი მოადგილის მაგდა კაპანაძის რეაგირება, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი არიან დაბალი დონის განათლების, კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პროკურორები, რომლებიც კი არ ებრძვიან კრიმინალს პროკურატურაში, არამედ მფარველობენ მათ.

საჩივრების შესწავლის დროს ვერ ერკვევიან ან არ უნდათ გაერკვნენ, თუ რა არის საკუთრება, რა არის მფლობელობა, როგორ წარმოიშვებიან ისინი, რას ნიშნავს განკარგვა, არ იციან, რომ პრეზიდენტის ბრძანებულების შესრულება ხორციელდება იუსტიციის მინისტრის ბრძანება-ინსტრუქციის მიხედვით.

დავიწყებთ იმით, რომ 2000 წლის 12 ოქტომბრიდან მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში საკუთრებაში მაქვს 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომელიც შევიძინე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 19 მაისის №258 ბრძანებულების და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 30 მაისის 65 ბრძანება – ინსტრუქციის მე-7 მუხლის შესაბამისად. ავიღე ვალდებულება სტაციონალური საგუშაგოს აშენებისა და წარვადგინე მარნეულის გამგეობაში ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

საკუთრებაში ნაყიდი მიწის ნაკვეთი 2000 წ. 11 ოქტომბრის №187/00 განაცხადით დავარეგისტრირე მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრში, საიდანაც მივიღე ოფიციალური დოკუმენტაცია, მათ შორის 2000წ. 11 ოქტომბრის „მიწის საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა".

მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრის რეგისტრატორსა და პროკურატურას მას შემდეგ გაუმძაფრდათ ინტერესი წაერთმიათ ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, როცა მასზე მოიხსნა ვალდებულება სტაციონარული საგუშაგოს არსებობისა.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა მარნეულის რაიონის საჯარო რეესტრის რეგისტრატორმა გიორგი მელიქიშვილმა, რომელმაც საჯარო რეესტრში გაანადგურა კანონიერი დოკუმენტაცია და მის მაგივრად ჩადო გაყალბებული დოკუმენტები, კერძოდ, ჩემი სახელით 2000 წლის 23 ოქტომბერს შედგენილი ყალბი №131/00/173 განაცხადი და ამ განაცხადზე აგებული ყველა სხვა ყალბი დოკუმენტები.

სწორედ ეს ყალბი დოკუმენტები გამოიყენა გენ. ინსპექციის უფროსმა მ. აბულაძემ თავისი დასკვნის საფუძვლად და არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ შვიდი წელია ვითხოვ ჩემი სახელით შედგენილი ყალბი №191/00/173 განაცხადის ექსპერტიზას, რომელიც შემდგომ ყველა დანარჩენი დოკუმენტაციის სიყალბეს გამოააშკარავებდა.

ბ. აბულაძე არც იმაზე დაფიქრებულა, რომ 2000 წლის 12 ოქტომბრისათვის მე უკვე ვიყავი მიწის მესაკუთრე დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, რაღაში მჭირდებოდა 12 დღის შემდეგ ახალი №191/00/173 განაცხადი, თუ ის ყალბი არ არის.

ბ. აბულაძე ვალდებული იყო, რეაგირება მოეხდინა მარნეულის რაიონის პროკურატურის პროკურორების მიერ მიღებულ ურთიერთგამომრიცხავ დადგენილებებზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ამონარიდი: მარნეულის რ-ნის პროკურატურის პროკურორის ს. სალთხუციშვილის 2009 წ. 30 ოქტომბრის უკანონო დადგენილებიდან: – 2009 წლის 23 ოქტომბერს მარნეულის რაიონის რეგისტრატორმა გ. მელიქიშვილმა შეიტანა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ტექნიკური ხარვეზის შესწორება და იურიდიული პირის მ. კახაძის ნაცვლად მესაკუთრედ გამოაცხადა სახელმწიფო".

ბ. აბულაძემ უნდა იცოდეს, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში ტექნიკური ხარვეზის შესწორებას განსაზღვრავს „საჯარო რეესტრის შესახებ" კანონის 28 მუხლი, რომელიც არ ითვალისწინებს მესაკუთრის შეცვლას.

ამ შემთხვევაში გ. მელიქიშვილმა განახორციელა თვითნებობა, ხოლო პროკურორმა ს. სალთხუციშვილმა ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება.

მოგვიანებით უფრო შორს წავიდა მარნეულის რ-ნის პროკურატურის მეორე პროკურორი მერაბ მერაბიშვილი, რომელმაც თავის 2013 წლის 11 ოქტომბრის უკანონო დადგენილებაში დააფიქსირა, რომ ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი რეგისტრატორმა გ. მელიქიშვილმა იგივე მოტივით გამოაცხადა 2009 წ. 25 სექტემბერს.

ამ ურთიერთგამომრიცხავი ჩანაწერითაც არ დაკმაყოფილდა და თავის ამ უკანონო დადგენილების დასკვნით ნაწილში გაუგონარ აბსურდულ ჩანაწერს აკეთებს – „სადავო მიწის ნაკვეთი მ. კახაძეს არასოდეს ეკუთვნოდა, მიწის ნაკვეთი რაიონის გამგეობის მიერ კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე პირდაპირი განხილვის გზით გაცემული იქნა საგზაო პოლიციის დეპარტამენტზე".

ჯერ ერთი, ასეთი დასახელების დანაყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს არასდროს ქონია. მეორეც, თუკი სადავო მიწის ნაკვეთი 2000 წ. პირდაპირი განხილვის წესით გადაეცა შ.ს. სამინისტროს, მაშინ როგორ მოხდა იგი ჩემს საკუთრებაში და 2009 წლის 23 ოქტომბერს და შემდეგ 25 სექტემბერს ჩემგან რანაირად გამოცხადდა სახელმწიფო საკუთრებად.

ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებაში არ არსებობს ამ უკანონო გადაწყვეტილებების დამადასტურებელი დოკუმენტები, ხოლო თავის ნებაზე მიშვებული პროკურორები, რასაც უნდა იმას წერენ.

ბ. აბულაძემ და მ. კაპანაძემ თავი არ შეიწუხეს აღნიშნული სიყალბეების გადასამოწმებლად, ისინი უბრალოდ უპასუხისმგებლო, არაკეთისინდისიერი პროკურორ მ. მერაბიშვილის ნაკარნახევით დაკმაყოფილდნენ.

ყველაზე მნიშვნელოვანია ამ საქმეში, ის გარემოება, რომ ბ. აბულაძემ და მ. კაპანაძემ დანაშაულებრივად გვერდი აუარეს „ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონს, ვინაიდან სადაო მიწის ნაკვეთი უკანონოთაც რომ მქონდეს შეძენილი, ჩემს საკუთრებას მაინც იცავს „ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონის მე-4, 5 და 6 მუხლები, სადაც მე-6 მუხლში ნათქვამია:

- „სახელმწიფო ორგანოს და თანამდებობის პირს ეკრძალება ამ კანონის მე–4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე საკუთრების შეძენა ან/და საკუთრების საფუძვლის მართლზომიერების დასადგენად გამოძიების წარმოება ან ნებისმიერი სხვა ფორმით კონტროლი, შესწავლა, შემოწმება".

ამიტომ არის, რომ მ. მერაბიშვილის 2013 წლის 11 ოქტომბრის უკანონოდ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით გაგზავნილ არაერთ საჩივარზე, სამი წლის მანძილზე ზემდგომი პროკურორები, რომლებიც ვალდებულები არიან საჩივრებზე დადგენილებით მიპასუხონ, თავს არიდებენ, რითაც არღვევენ ს.ს.ს.კ მე-16 და 98 მუხლებს, ამაზე არ რეაგირებს გენერალური ინსპექცია.

ამ შემთხვევაშიც ანალოგიური მეთოდით მოხდა საქმის დახურვა.

სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო მარნეულის საჯარო რეესტრის რეგისტრატორის გიორგი მელიქიშვილის მიმართ თვითნებობის მუხლით, რომელიც უარს ამბობს ხარვეზის გასწორებაზე.

პროკურორმა მ. მერაბიშვილმა ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი უფლებამოსილება, გ. მელიქიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის დამალვა მოახდინა „ქონების ლეგალიზაციის შესახებ" კანონით იმპერატიულად აკრძალული გამოძიებით, რომელიც ეხება მიწის ნაკვეთის შეძენის კანონიერებას.

ესეც არ იკმარა, მოახდინა გარემოების ფალსიფიკაცია, გამოიყენა და დაეყრდნო ყალბ დოკუმენტაციას, დამალა მისთვის არასასურველი გარემოებები, რომლებიც ხელს შეუშლიდნენ უკანონო დაუსაბუთებელი დადგენილების მიღებაში და ჩემი საკუთრების ხელყოფის დაკანონებით დახურა საქმე.

ამ ქმედებით მ. მერაბიშვილმა ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული ს.ს.კ. 332 და 333 მუხლებით.

ამდენი კანონდარღვევა პროკურორების მხრიდან განპირობებულია იმ გარემოებით, რომ გენერალური ინსპექცია 3 წლის არსებობის მანძილზე მფარველობს მათ, უმოქმედოა პროკურორთა საბჭოც.

თუ წინა ხელისუფლების დროს საკუთრების წართმევა ხდებოდა ძალისმიერი მეთოდებით, ახლა ამას აკეთებენ: კანონიერი დოკუმენტაციის იგნორირებით, კანონდარღვევებით, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით და მათზე დაყრდნობით, გარემოების ფალსიფიკაციით და სხვა დანაშაულებრივი ქმედებებით.

იმედია განახლებული ხელისუფლება სწორედ სახეშეცვლილი კრიმინალური პროკურატურის დანაშაულებრივ საქმიანობის შესწავლით დაიწყებს თავის მოღვაწეობას და პარლამენტში შექმნის საგამოძიებო კომისიას.

და ბოლოს, საქართველოს მოქალაქეებმა არ უნდა დაიზარონ მისვლა არჩევნებზე და გააკეთონ სწორი არჩევანი, თორემ პრობლემები ისეთი რამეა, ადრე თუ გვიან ყველა მათგანს შეგეხებათ და როდესაც პრობლემების გადასაჭრელად მიაკითხავთ სახელმწიფო დაწესებულებებს, სადაც სამართლიანი ობიექტურ და გულისხმიერი ადამიანების მაგივრად დაგხვდებიან უქნარა, უსამართლო, მუქთახორა მედროვეები, გაიხსენეთ 2016 წ. 8 ოქტომბერი და იცოდეთ, რომ ეს თქვენი არჩევანია.

**მიხეილ კახაძე**

**ქ. თბილისი. კანდელაკის ქ.**

**13 სექტემბერი 2016წ.**

# სამტრედია და ჩიხურა პირველი წრის შემდეგ ლიდერობენ

დასრულდა გარდამავალი ჩემპიონატის პირველი წრე. ორივე ჯგუფს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს – სამტრედია და საჩხერის ჩიხურა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბრძოლა დასრულდა – წინ მთელი მეორე წრეა...

### თეთრი ჯგუფი

**დინამო (თბ)-ტორპედო 0:0**

**თბილისი.** დინამო არენა

**დინამო:** ლომაია, ველევი, ამისულაშვილი, რენე, ლობჟანიძე, ცინცაძე, ჯიღაური, კიტეიშვილი (პარუნაშვილი 58), ჭანტურიშვილი, პაპუნაშვილი, დვალიშვილი (ლილუაშვილი 85)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, მამასახლისი, ბაბუნაშვილი (საღრიშვილი 75), დოლიძე, ტუღუში (ენდელაძე 86), კვერნაძე (კაპანაძე 70)

ქართულ კლასიკოდ მონათლულ მატჩს, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე გუნდისთვის. ჩემპიონატის პირველი წრის ფინიშზე მეტოქეები ქულათა მარაგის შევსებას ლამობდნენ და, აქედან გამომდინარე, მოულოდნელი არ იყო ის დაძაბულობა, რომელიც თამაშს პირველიდან უკანასკნელ წუთამდე ახლდა.

მატჩის დასაწყისი ტორპედოელთა აქტიურობით აღინიშნა. ისინი უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს და დინამოელებზე სახიფათოდაც უტევდნენ. პირველი დარტყმა კარისკენ გრიგოლ დოლიძემ სტანდარტულიდან განახორციელა, მაგრამ არცთუ ძლიერად და გიორგი ლომაიას არ გასჭირვებია ბურთის დაუფლება. მე-13 წუთზე ოთარ კვერნაძემ ხელსაყრელი პოზიციიდან დაარტყა კარისკენ, მაგრამ ჩარჩოს ააცილა.

ქუთაისელთა კართან კი პირველი სახიფათო მომენტი 26-ე წუთზე შეიქმნა. ვახტანგ ჭანტურიშვილი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა დინამოელმა კარის ბადე გარედან შეარხია. შესვენებამდე 6 წუთით ადრე ოთარ კიტეიშვილის მიერ ტორპედოელთა კარისკენ სახიფათოდ დარტყმული ანრი ჭიჭინაძისგან კუთხურზე გადავარდა.

მე-2 ტაიმის დასაწყისში ოლეგ მამასახლისმა შორიდან გაისროლა დინამოს კარისკენ, მაგრამ ხარიხას გადააცილა. მალევე სტუმრები აშკარა გოლისგან მეკარემ გადაარჩინა – როინ კვასხვაძემ ჭანტურიშვილის დარტყმული ურთულესი ბურთი მოიგერია.

ბოლოს სტუმრებსაც ჰქონდათ ორი შანსი: 86-ე წუთზე ბექა ტუღუშს საჯარიმოში მაღალ ბურთზე ლომაიამ დაასწრო, შემდეგ კი გაბრიელ საღრიშვილმა ვერ გათვალა თორნიკე კაპანაძის მისამართით გაკეთებული გადაცემის სიძლიერე და ამ უკანასკნელმა ბურთს კარში გადასაგზავნად ვერ მიუსწრო.

**ცხინვალი-ჩიხურა 1:2**

**თბილისი.** მიხეილ მესხი 2

0;1 ტატანაშვილი (1), 0:2 გორგიაშვილი (66), 1:2 დვალი (82)

**ცხინვალი:** ნადირაძე, თომაშვილი (გაბრიჩიძე 37), მაისაშვილი, ცერცვაძე, ბაჩიაშვილი, ქოჩლაძე, სულთანიშვილი, ქარდავა, დვალი, კახელიშვილი, შინდაგორიძე (მაქაცარია 54)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, გრიგალაშვილი (ჩიკვაიძე 70), გორგიაშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი, კორიფაძე, ლობჟანიძე, ტატანაშვილი, ივანიშვილი, გაბედავა (სარდალიშვილი 88)

მოიგო საჩხერის ჩიხურამაც – ზემო იმერლებს 13 ქულა გაუხდათ და თეთრ ჯგუფს ლიდერობენ.

პირველი წრის ბოლო ტურში ჩიხურა თბილისს ესტუმრა და მიხეილ მესხის სათადარიგო მოედანზე ცხინვალს 2:1 მოუგო.

დიმიტრი ტატანაშვილმა პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში, რასაც მე-2 ტაიმში გორგიაშვილმა მეორეც დაუმატა. შეხვედრის ბოლოს ჯაბა დვალმა ერთი ბურთი კი გაქვითა, მაგრამ ქულის გადარჩენა ველარ მოახერხეს.

**შუქურა-ლოკომოტივი 0:1**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

0:1 კიკაბიძე (69)

**შუქურა:** ჯიოევი, ჯაფარიძე (ომანიძე 76), მირცხულავა, ჭეჟია, ჩაჩუა, არზიანი (მამულაშვილი 85), გურული, კუტალია, კონიეჰა (ჯეფინიო 55), საბაძე, ჩელებაძე

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ფოფხაძე, ხიდეშელი, გეთიაშვილი, გაბაძე, კლიმიაშვილი, კუხიანიძე, დიასამიძე (ქიქავა 72), სამურკასოვი (ვაწაძე 46), ჩაგელიშვილი, ცხადაძე (კიკაბიძე 62)

წაუგებელ სერიას აგრძელებს თბილისის ლოკომოტივი. დედაქალაქელები ქობულეთს ეწვივნენ და ადგილობრივი შუქურა 1:0 დაამარცხეს.

მატჩის ერთადერთი გოლი 69-ე წუთზე ლუკა კიკაბიძემ გაიტანა. ამ გამარჯვებით ლოკომოტიველებმა თბილისის დინამოს გადაასწრეს და 11 ქულით მეორე ადგილზე არიან.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 6 | 4 | 1 | 1 | 12:6 | 13 |
| 2.ლოკომოტივი | 6 | 3 | 2 | 1 | 7:5 | 11 |
| 3.დინამო (თბ) | 6 | 2 | 4 | 0 | 8:3 | 10 |
| 4.გურია | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| 5.ტორპედო | 6 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| 6.ცხინვალი | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | 4 |
| 7.შუქურა | 6 | 0 | 3 | 3 | 3:8 | 3 |

### წითელი ჯგუფი

**სამტრედია-ზუგდიდი 1:0**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

1:0 შერგელაშვილი (72)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მთივლიშვილი, სანდოხაძე, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი (გამყრელიძე 59), რაჟამაშვილი (ჯიქია 64), მანჯგალაძე, არაბული, ზივზივაძე (იმედაშვილი 90)



**ზუგდიდი:** ლიტოვჩენკო, აფაქიძე, სუხომლინოვი, აქუბარდია (ჭანტურია 31), მაჩაიძე, ზოზულია, ტყემალაძე, წურწუმია (ერმაჩენკო 65), სამუშია (სიხარულია 72), იოსელიანი, შეველი

მორიგი სამი ქულა მოიპოვა სამტრედიამ – გია ცეცაძის გუნდმა საკუთარ მოედანზე ზუგდიდს უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით 1:0 დაამარცხა მეტოქე.

ერთადერთი გოლი 73-ე წუთზე ლაშა შერგელაშვილის ანგარიშზეა.

**კოლხეთი-დილა 0:1**

**ფოთი.** პარკი არენა

0:1 დან კოვა (34)

**კოლხეთი:** თებიძე, რამალდანოვი, კილასონია, ჩაკვეტაძე, ქებურია, ბოლქვაძე, გოგონაია, კერძევაძე, ჟიშკარიანი (კაკულია 85), კორობკა (ჯღამაია 50), ნიქაბაძე (ივანკო 79)

**დილა:** მუჯრიშვილი, კვახაძე, ღონღაძე, დან კოვა, ეტოუ, სამხარაძე, ცაცკრიალაშვილი, წიქარიძე, ნონიკაშვილი, გელაშვილი (გამცემლიძე 54), მოდებაძე (ჩახვაშვილი 83)

უშუალო კონკურენტი დაამარცხა დილამ. გორელები ფოთში კოლხეთს ესტუმრნენ და მძიმე ბრძოლაში 1:0 იმარჯვეს. გოლი გორელთა ახალწვეულმა ლეგიონერმა დან კოვამ გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა მატჩის უკანასკნელ წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენეს – ომარ გოგონაიას გორელთა მეკარემ, მიხეილ მუჯრიშვილმა აჯობა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 14 |
| 2.დინამო (ბთ) | 6 | 3 | 3 | 0 | 11:2 | 12 |
| 3.დილა | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 9 |
| 4.კოლხეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 4:8 | 9 |
| 5.საბურთალო | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| 6.სიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7:11 | 4 |
| 7.ზუგდიდი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:12 | 3 |

## მარკოიშვილს იტალიაში ვარსკვლავი გაუხსნეს




საქართველოს ნაკრების და თურქული დარუშაფაკას უკანახაზელს, მანუჩარ მარკოიშვილს იტალიაში ვარსკვლავი გაუხსნეს.

ქართველი თურქეთში წასვლამდე 2009-13 წლებში იტალიურ კლუბ კანტუში თამაშობდა. კლუბმაც მარკოიშვილს გუნდისთვის გაწეული ღვაწლი დაუფასა და საკუთარი არენის შესასვლელთან ვარსკვლავი გაუხსნა.

იმასაც შეგახსენებთ, რომ მარკოიშვილი ტრავმის გამო ევროპის 2017 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარა. ილიას ზუროსის შეგირდებმა ევროპირველობის საგზური მარკოიშვილის გარეშე მოიპოვეს.




## მილანი მანჩესტერს დეპაის სთხოვს

იტალიური გამოცემების მტკიცებით, მილანი იანვარში მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველის, მემფის დეპაის იჯარით გადაბირებას ეცდება.

ვინგერი იშვიათად ხვდება შემადგენლობაში და მიმდინარე სეზონში იუნაიტედის რიგებში მხოლოდ 4 მატჩი ჩაატარა, მათგან 3 – შეცვლაზე. ჰოლანდიელს თავის გამოჩენის შანსი ლიგის თასის მატჩში მიეცა, როცა ნორთჰემპტონის წინააღმდეგ შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში მოგვევლინა, მაგრამ მნიშვნელოვანი ვერაფერი გააკეთა.

შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ რომ, დეპაი იუნაიტედის გეგმებში არ შედის, რითაც სარგებლობას აპირებს იტალიური კლუბი და იანვარში მემფისის იჯარის წესით გადაბირებას ეცდება იმ პირობით, რომ სურვილის შემთხვევაში სეზონის ბოლოს მისი გამოსყიდვა 24 მილიონ ევროდ შეეძლება.

## შედეგები

**25 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი ............. 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 2.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 3.არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 4.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 16-9 | 13 |
| 5.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 6.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 7.კრ.პალასი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 8.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 10.საუთჰემპტონი | 2 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
